# აჭარა

გამოდის 102-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№143 (25.023) ხუთშაბათი, 29 - 30 დეკემბერი, 2022 წ. 50 თეთრი


**გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით**



დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა, მთაში - თოვა, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 10-15, მაღალ მთაში - 5-10 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 12 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 760 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

## კრიალოსა N იუსი

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 2022 წლის ანგარიში წარმოადგინა. მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა რამდენიმე მნიშვნელოვან მიღწევას, რომლებიც, მისი თქმით, ჩვენი სახელმწიფოს პროგრესზე თვალსაჩინოდ მეტყველებს. „ღია ბიუჯეტის ინდექსის მიხედვით, 10 წლის წინ საქართველო შეზღუდული გამჭვირვალობის მქონე ქვეყნებს მიეკუთვნებოდა. 2015 წლიდან გადავინაცვლეთ მნიშვნელოვნად გამჭვირვალე ქვეყნების რიგში, ხოლო 2017 წლიდან ვართ სრულიად გამჭვირვალე ქვეყნებს შორის და იცით, რომ წელს მსოფლიოში პირველი ადგილი დავიკავეთ ბიუჯეტის გამჭვირვალობის მიმართულებით, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი მიღწევა არის ჩვენი მთავრობის და, ზოგადად, ეს მიუთითებს კიდევ ერთხელ ჩვენი მთავრობის ღიაობასა და გამჭვირვალე მუშაობაზე“, - აღნიშნა პრემიერმა.

* * *

მთავარ შეკითხვას პასუხი გაეცემა, როცა გაეცემა, - ასე უპასუხა საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ჟურნალისტის კითხვას - შეიწყალებს თუ არა ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს. აღნიშნული განცხადება პრეზიდენტმა ორბელიანების სასახლეში გამართულ ბრიფინგზე გააკეთა. ბრიფინგის პარალელურად, პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან აქცია მიმდინარეობდა, რომლის მონაწილეები ზურაბიშვილს მოუწოდებდნენ, არ შეიწყალოს საქართველოს მესამე პრეზიდენტი.

* * *

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ერთ-ერთი წამყვანი ავიაკომპანია **China Southern Airlines** საქართველოს მიმართულებით რეგულარულ საჰაერო მიმოსვლას განაახლებს. ეკონომიკის მინისტრის მოადგილე მარიამ ქვრივიშვილის თქმით, ჩინეთი საქართველოს ტურისტული სექტორისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში წარმოდგენილი განაცხადის შესაბამისად, რეგულარული რეისები ურუმჩისა და თბილისს შორის ზამთრის სანავიგაციო სეზონის ბოლომდე - 2023 წლის 25 მარტამდე, კვირაში ერთხელ - ყოველ პარასკევს შესრულდება

* * *

საქართველოს პარლამენტმა ვერც 2022 წლის საშემოდგომო სესიაზე შეძლო ეთიკის საბჭოს ამოქმედება. ამის შესახებ ნათქვამია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ განცხადებაში. როგორც ორგანიზაციაში აღნიშნავენ, პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსის სავარაუდო დარღვევის შესახებ წარდგენილია 7 საჩივარი, რომლებიც არ განხილულა, რადგან საბჭო არ არის სრულად დაკომპლექტებული და მისი არცერთი სხდომა არ ჩატარებულა.

**მოამზადა**
**ია შველიძემ**

# სპორტის სფეროში საუკეთესოები დაასახელეს

**ნანა დავითაშვილი 27 48 93**

*აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ და სპორტის დეპარტამენტმა 2022 წლის საუკეთესო სპორტსმენები, პარასპორტსმენები, მწვრთნელები, ვეტერანი სპორტის მოღვაწეები, წლის სპორტული მენეჯერი და საუკეთესო სპორტული ჟურნალისტები დააჯილდოვა*

ღონისძიებას აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და სპორტის დეპარტამენტის წარმომადგენლებთან ერთად, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, აჭარის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

დაჯილდოებულმა სპორტსმენებმა წელს როგორც საქართველოს, ასევე ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე ჩვენს ქვეყანას სხვადასხვა სინჯის არაერთი მედალი მოუტანეს.

სულ აჭარის სპორტსმენებმა წელს 461 სპორტულ ღონისძიებაში მიიღეს მონაწილეობა და ასობით მედალი მოიპოვეს, რომელთა შორის ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეები და კარატეს წარმომადგენლები სჭარბობენ. დაჯილდოვდნენ ასევე ისინი, ვინც სპორტის განვითარებაში საკუთარი წვლილი შეიტანა, მათ შორის, აჭარის სპორტის ვეტერანთა ფედერაციის პრეზიდენტი შალვა ტაბაღუა, რომელსაც 85 წელი შეუსრულდა და დღემდე სპორტის სამსახურში რჩება.



- ეს წელი ძალიან წარმატებული იყო ჩემთვის, გავხდი ევროპის ჩემპიონი, ასევე მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი. მართალია, ეს კარგი შედეგია, მაგრამ გაისად ვეცდები, კიდევ უფრო გავაუმჯობესო, ჩემს მონაგარს მსოფლიოსა და ოლიმპიური შეჯიბრებების მაღალი სინჯის მედლები შევმატო, - თქვა მოჭიდავე ლერი აბულაძემ.

- ძალიან მაღალი შედეგები მქონდა წელს და მიხარია, რომ ჩემმა კუთხემ, აჭარამ დამიფასა შრომა - დამასახელეს წლის საუკეთესო სპორტსმენად, სასიხარულოა ისიც, რომ აჭარის ათლეტიზმის ფედერაცია ჩასვეს კალენდარულ გეგმაში და მალე აჭარის ღია ჩემპიონატი ჩატარდება, ივნისში მსოფლიო ჩემპიონატში მივიღებ მონაწილეობას როგორც დიდებში, ისე 23 წლამდელთა შორის, - ასე შეაფასა მიღებული ჯილდო ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონმა კლასიკურ ძალისმიერ სამჭიდში თემურ სამხარაძემ.

- მედლების რაოდენობით ერთ-ერთი წარმატებული წელი იყო აჭარის სპორტის ისტორიაში. რაც შეეხება მომავალ წელს, უკეთეს შედეგებს ველით, რადგან ჩვენი სფეროს დაფინანსება 40 პროცენტითაა გაზრდილი. რამდენიმე ახალი მიზნობრივი პროგრამა უნდა განხორციელდეს, ამიტომ ვფიქრობ, რომ 2023 წელი გაცილებით წარმატებული იქნება, - გვითხრა სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ლაშა ჩავლეშვილმა.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ კვლავაც აღუთქვა თანადგომა სპორტის სფეროს წარმომადგენლებს და დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა.

იხ. მე-8 გვ.





## 2022 წლის პოლიტიკური მოზაიკა 3

## ყველაზე გამორჩეული ახალი წელი - ცნობილი ბათუმელებისთვის 4

## წერილები თოვლის ბაბუს - რა სურთ ბავშვებს? 4

## ყველაზე ფერადი და ჯადოსნური დღესასწაული 5


## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.





დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93

# კონკურს „ჩემი გალაქტიონის“ გამარჯვებული მოსწავლეები დააჯილდოვეს

**დარინა ბაბაიძე 27 48 93**

***კონკურსის „ჩემი გალაქტიონი“ დაჯილდოების ცერემონია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა გახსნა, გამარჯვებულ მოსწავლეებს მიღწეული წარმატება მიულოცა და მათ პრიზები პირადად გადასცა***

დაჯილდოების ცერემონიაზე საკონკურსო კომისიის მიერ ქვეყნის მასშტაბით გამარჯვებული მოსწავლეები გამოვლინდნენ. პირველი ადგილის მფლობელი აფხაზეთის მე-10 საჯარო სკოლის მოსწავლე ალექსანდრე ჯიქია გახდა, მეორე ადგილი შპს „თბილისის საერთაშორისო სკოლის“ მოსწავლეებმა ლიზი კუპრაშვილმა, მანანა ბებიამ და ლიზი შარიქაძემ დაიკავეს, ხოლო მესამე ადგილი - ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ლიზი შარაძემ, ხატია ბერიძემ და მარი ბეჟანიძემ.



მიხეილ ჩხენკელმა სიტყვით გამოსვლისას ახალგაზრდების წახალისების კუთხით სასკოლო კონკურსების ჩატარების მნიშვნელობაზე ისაუბრა. მისი თქმით, მოსწავლეთა შემოქმედებითი აზროვნების განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტს არაფორმალური განათლების მხარდაჭერა წარმოადგენს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება მოსწავლეებისთვის მრავალფეროვანი საგანმანათლებლო და სამეცნიერო აქტივობების, მათ შორის, შემეცნებითი და სახელოვნებო კონკურსების შეთავაზება.

ღონისძიების ფარგლებში, ასევე, გამოვლინდნენ ჟიურის რჩეული ფინალისტები. მათ შორის იყვნენ - ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ აკაურთის საჯარო სკოლის მოსწავლე ჩინარა ნაბიევა; ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქედლების საჯარო სკოლის მოსწავლე ლანა ჯორბენაძე; შპს „სადუნის“ მოსწავლეები სანდრო კასაბური, ანასტასია ბერიშვილი და თამარ ცხელიშვილი; მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეები ლუკა სამაშვილი, ზურაბ ირემაშვილი და თამაზ ჯაჭვაძე; გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლე სალომე გენგაშვილი; ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის მეორე საჯარო სკოლის მოსწავლეები მარიამ კოკოლაძე, გიგა ჩულაშვილი და სოსო ქიზიყურაშვილი; ამბროლაურის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლე ანა ონიანი.

კონკურსში გამარჯვებულ მოსწავლეებს სპეციალური პრიზები, ტექნიკის მაღაზიის სასაჩუქრე ბარათები და შესაბამისი დიპლომები გადაეცათ.

დამსწრე საზოგადოების წინაშე წარსდგა „უკრაინულ ენაზე ზოგადი განათლების მიღების ხელმისაწვდომობის“ პროგრამის ფარგლებში შექმნილი მიხეილ გრუშევსკის სახელობის ქალაქ თბილისის 41-ე საჯარო სკოლის ქართულ-უკრაინული გუნდი, რომელმაც ქართული და უკრაინული სიმღერები შეასრულა.

დაჯილდოების ცერემონიაში მონაწილეობა, ასევე, მიიღო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილე თამარ მახარაშვილმა.

აღსანიშნავია, რომ სასკოლო კონკურსი „ჩემი გალაქტიონი“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გალაქტიონ ტაბიძის დაბადებიდან 130 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოცხადდა და მის მიზანს გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედების პოპულარიზაცია, ასევე, ახალგაზრდებში შემოქმედებითი, კრიტიკული თუ ციფრული უნარების გამოვლენა-განვითარება წარმოადგენდა.

კონკურსში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების X, XI, XII კლასების მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა, რომლებმაც ჟიურის გალაქტიონ ტაბიძის ნაწარმოებების მიხედვით შექმნილი ორიგინალური ილუსტრაციები და ვიდეოკოლაჟები წარუდგინეს.

# ცხრათვიანი ანაზღაურებადი სტაჟირების მონაწილეებს სერტიფიკატები გადაეცათ

**დარინა ბაბაიძე 27 48 93**

***ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ოცმა სტუდენტმა და კურსდამთავრებულმა აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2022 წლის ქვეპროგრამის „საგანმანათლებლო და სამეცნიერო პრაქტიკის დანერგვის“ ფარგლებში, სამინისტროსა და მის საქვეუწყებო დაწესებულებებში ანაზღაურებადი, ცხრათვიანი სტაჟირება გაიარა***

სტაჟიორებმა უნივერსიტეტში შემაჯამებელი პრეზენტაცია გამართეს და სასწავლო პრაქტიკის შესახებ ისაუბრეს. პროგრამაში მონაწილე სტუდენტებს სერტიფიკატები გადასცეს და წარმატებები უსურვეს აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაზა შავაძემ, ბსუ-ის რექტორმა, პროფესორმა მერაბ ხალვაშმა, ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა მერაბ დიასამიძემ, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ირმა აფხაზავამ.



სტაჟირების პროგრამის მონაწილეებს სერტიფიკატები გადასცეს ასევე საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანმა რუსუდან ხუხუნაშვილმა, ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანმა გიზო ფარცხალაძემ, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტის დაგეგმვის და ანალიზის დეპარტამენტის უფროსმა ლია ბერიძემ და აგრარული განვითარების დეპარტამენტის უფროსმა ლევან ბოლქვაძემ.

ქვეპროგრამა მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის დარგში კვალიფიციური კადრების მომზადებას, მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობას.

ანაზღაურებად სტაჟირებასთან დაკავშირებით ჩვენ კომენტარი ვთხოვეთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აგრარული განვითარების დეპარტამენტის სოფლის მეურნეობის დარგობრივი განვითარების განყოფილების უფროს ჯიმშერ დიასამიძეს.

- აგრარული მიმართულება გახლდათ წამყვანი, რომლის ფარგლებში ამ მიმართულების 12-მა სტუდენტმა გაიარა სტაჟირება. აღნიშნულ 12-ში შეიძლება გამოვარჩიოთ პროფესიული სასწავლებლის 3 სტუდენტი, რომლებმაც ჩვენთან გაიარეს ანაზღაურებადი სტაჟირება და უმაღლესი სასწავლებლის 9 სტუდენტი, ასევე, საბუნებისმეტყველო მიმართულებით იყო 3 სტაჟიორი. მათ სტაჟირება გაიარეს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოში, ბიოლოგიის და ეკონომიკის სპეციალობით, ხოლო ერთი - ბიოლოგიის სპეციალობით ლაბორატორიული კვლევის ცენტრში იყო განაწილებული. რაც შეეხება ეკონომიკურ მიმართულებას, გვყავდა 4 სტაჟიორი, რომლებმაც, ძირითადად, სამინისტროს ცენტრალურ აპარატში გაიარეს სტაჟირება ოთხ ძირითად, დარგობრივ დეპარტამენტში - პოლიტიკის და ანალიტიკის, პროგრამების განხორციელების, ბიუჯეტის დაგეგმვისა და ანალიზის და აგრარული განვითარების დეპარტამენტებში. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ორი აგროტური. ზოგადად, ქვეპროგრამა ემსახურება აგრარულ დარგში და გარემოს დაცვის მიმართულებით კვალიფიციური კადრების მომზადებას, მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევების ამაღლებას და, პირველ რიგში, ისეთი სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც შემდგომში სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვით მიმართულებას გააძლიერებენ, - გვითხრა ჯიმშერ დიასამიძემ.

# წინასაახალწლო კონცერტი – შუახევში

**ოთარ ცინარიძე 599 85 21 14**

ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივითა და საქართველოს მთავრობის აპარატის ორგანიზებით, შუახევის მუნიციპალიტეტის ცენტრში, თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ, წინასაახალწლო კონცერტი გაიმართა. ზამთრისთვის ჩვეული სიცივისა და თოვლჭყაპის მიუხედავად, ღონისძიებას მრავალი მაყურებელი დაესწრო.

- წინა დღით საახალწლო ნაძვის ხე საზეიმოდ აინთო, ცერემონიას სხვებთან ერთად, მეც ვესწრებოდი, - გვითხრა ნიგაზეულელმა ივერი კაკალაძემ, - შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ დამდეგი 2023 წელი მოგვილოცეს.

გაიმართა კონცერტი, რომელშიც ადგილობრივი შემსრულებლები: ანსამბლი „ზე-კართან,“ სალოტბარო და სახელოვნებო სკოლის მოსწავლეები, გოგონათა ბენდი მონაწილეობდნენ.

საღამო გრანდიოზული ფოიერვერკით დასრულდა.

კონცერტის დღეს დილიდანვე საზეიმო განწყობა სუფევდა, მოეწყო საშობაო ბაზრობა, მსურველებს შესაძლებლობა ჰქონდათ, შეეძინათ ნაქსოვი და ხელნაკეთი აქსესუარები, ტკბილეული...




საბავშვო გასართობ სივრცეში წარმოდგენები გამართა. პატარები ზღაპრის გმირებმა გაახალისეს, თოვლის ბაბუამ კი მათ საჩუქრები ჩამოურიგა. საინტერესო იყო მოსიარულე ორკესტრების შოუ, მრავალი მაყურებელი ჰყავდა საბავშვო კონცერტს. შემდეგ სცენა დედაქალაქიდან მოწვეულ შემსრულებლებს - ლინდა ადამიასა და ბენდს, ასევე, ანდრია გველესიანსა და ბენდს დაეთმო.

საახალწლო ღონისძიების მონაწილეებს მიესალმნენ შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები.

# „საქართველოს ბანკი“ განმარტავს...

რუსულ „ფორბსში“ გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ „საქართველოს ბანკმა“ რუსეთის 200-მდე მოქალაქის საბანკო ანგარიში დახურა. ამასთან დაკავშირებით „ბიზნესპრესნიუსს“ „საქართველოს ბანკში“ განუმარტეს, რომ გადაწყვეტილება არ არის დაფუძნებული მოქალაქეობაზე, ის უკავშირდება კლიენტის უჩვეულო ან/და მაღალი რისკის მატარებელ აქტივობას/ქცევას. კონკრეტულად კი, თუ ანგარიში გამოყენებულია სატრანზიტო მიზნით ან წარმოადგენს უმოქმედო ანგარიშს.

„ბანკის შიდა პოლიტიკის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება ასევე ეფუძნება ისეთ პარამეტრებს, როგორიცაა: მაღალი რისკის მატარებელი ქვეყნების კლასიფიკაცია, მასთან დაკავშირებული რისკები და ა.შ. აქვე გვინდა განვმარტოთ, რომ ბანკს აქვს უფლება, საკუთარი შეხედულებისამებრ მიიღოს გადაწყვეტილება მომხმარებლის ანგარიშის დახურვასთან დაკავშირებით, რადგან „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ კანონი“ საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებს ანიჭებს სრულ უფლებამოსილებას, კლიენტებს დასაბუთების გარეშე უარი უთხრან მომსახურებაზე ან დაუხურონ ანგარიშები“, - განუცხადეს „საქართველოს ბანკში“ „ბიზნესპრესნიუსს“.

***ინფორმაციისთვის:*** *საქართველოში ცხოვრების შესახებ ტელეგრამის ერთ-ერთი არხის შემქმნელი ნიკოლაი ლევშიცი, ბანკის დაზარალებულ კლიენტებზე დაყრდნობით, წერს, რომ BOG-ის ეს გადაწყვეტილება შესაძლოა, კრიპტოვალუტის სატრანზიტო ოპერაციებთან იყოს დაკავშირებული.*

**ამირან გურიელიძე**

# 2022 წლის პოლიტიკური მოზაიკა

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*როგორი იყო 2022 წელი საქართველოსთვის, რა მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდა, რა ფაქტორებმა შეუშალა ხელი ქვეყნის განვითარებას, ხელისუფლებისა და ოპოზიციის ურთიერთბრალდებები რატომ იღებს საშიშ ფორმას და რუსეთ-უკრაინის ომმა რა პროცესებს დაუდო საფუძველი ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების თვალსაზრისით? შევეცდებით, ყველა ამ კითხვას თანმიმდევრულად ვუპასუხოთ*

საქართველოს მასშტაბით თვალს თუ გადავავლებთ 2022 წელს, შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა. უპირველესად აღსანიშნავია საკანონმდებლო ორგანოში გამართული დებატები მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის, „ნაცმოძრაობაში“ განვითარებული პროცესები, ახალი ალიანსების („დროას“, „გირჩის“ და „სტრატეგია აღმაშენებლის“) შექმნა, „ხალხის ძალის“ ჩამოყალიბება, რომელიც მმართველ გუნდს გამოეყო, არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობა, უარი ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსზე, ანტისამთავრობო მიტინგები, სააკაშვილის გათავისუფლება-არგათავისუფლების საკითხი, ჰააგის ისტორიული გადაწყვეტილება 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით, სადაც საქართველო ყოველმხრივ გამართლდა...

უნდა აღინიშნოს, რომ 2022 წლის დასაწყისი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი შიდა მოვლენებით არ იყო გამორჩეული, თუ არ ჩავთვლით პარლამენტში მიმდინარე პროცესებს, სადაც თავდაპირველად, მხოლოდ მმართველი პარტია აქტიურობდა, შემდეგ კი ოპოზიციაც გააქტიურდა. ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ოპოზიცია დესტრუქციულად მოქმედებს, რისი დასტური, მათი თქმით, სახალხო დამცველის არარჩევაა. თავის მხრივ ექსპერტებიც თვლიან, რომ მმართველი პარტია არაა დაინტერესებული ნეიტრალური სახალხო დამცველის არჩევით, არც ევროკავშირის მიერ დათქმულ პუნქტებს ასრულებს, ურომლისოდაც ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს ჩვენი ქვეყანა ვერ მიიღებს. ამ პუნქტების მნიშვნელოვანი კომპონენტებია დეპოლარიზაცია, პოლიტპატიმრების გათავისუფლება, დემოკრატიული საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა... ამ მიმართებით ექსპერტები აცხადებენ, რომ სწორედ ხელისუფლებაა პასუხისმგებელი საქართველოს ინსტიტუციურ გაძლიერებაზე, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის ხარისხზე, კონსტიტუციურად გარანტირებული უფლებების დაცვასა და ქვეყნის საგარეო ვექტორზე. ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების უგულებელყოფა კითხვის ნიშნებს ბადებს არა მხოლოდ ჩვენს მოსახლეობაში, არამედ დასავლელ პარტნიორებშიც, რის შესახებაც არაერთი მკაცრი და პირდაპირი განცხადების მომსწრე გავხდით. ამ მიმართებით ჩვენი ქვეყნის მომავალი დიდაა დამოკიდებული დასავლეთის მხარდაჭერაზე. ეს რუსეთ-უკრაინის ომმაც თვალნათლივ დაგვანახა, რის შესახებაც წერილის ბოლოს შევჩერდებით, მანამდე კი არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხზე ვისაუბრებ. ექსპერტები არც ოპოზიციას ამართლებენ და აღნიშნავენ, რომ იგი ცაიტნოტშია და სატელევიზიო ოპოზიციად იქცა. „ნაცმოძრაობა“ რამდენიმე ახალგაზრდა, პერსპექტიულმა წევრმა დატოვა, მიზეზი - მოქმედი თავმჯდომარე ნიკა მელია ინერტულია სააკაშვილის გათავისუფლების საქმეში, დაშალა მრავალათასიანი მიტინგი და ა. შ. ამას დაემატა ისიც, რომ ამ პარტიის თავმჯდომარეობაზე პრეტენზიას ოთხი კანდიდატი აცხადებს... ახალს არაფერს ვიტყვი, თუ აღვნიშნავ, რომ პარტიები უფრო საარჩევნო პერიოდში აქტიურობენ, ეს აქტივობა გამოიხატება როგორც სატელევიზიო ეთერების გამოყენებაში, ასევე მოსახლეობასთან გასვლით შეხვედრებში, რაც ოპოზიციამ სათანადოდ უნდა გააანალიზოს. ექსპერტები მესამე პოლიტიკური ძალის შექმნის აუცილებლობაზეც მსჯელობენ, რათა ორპოლუსიანობა დამთავრდეს. ამ მხრივ პრეტენზიას აცხადებენ ახლად შექმნილი ტრიოს („გირჩის, „დროას“ და „სტრატეგია აღმაშენებლის“) სახით, რომელთა მიზანია „შუაშისტური“ ამომრჩევლის გულის მოგება, რომლებიც დაახლოებით 35 პროცენტს შეადგენს. სხვათა შორის, ექსპერტები აცხადებენ, რომ „ნაცმოძრაობა“ თუ არ გარდაიქმნა და კვლავ ლეთარგიულ მდგომარეობაში გააგრძელა საქმიანობა, შესაძლოა, მთავარი ოპოზიციური ძალის სტატუსი დაკარგოს, მით უფრო, რომ სააკაშვილი, ფაქტობრივად, ჩამოშორდა ქართულ პოლიტიკას.



მიუხედავად გარკვეული პრობლემებისა, ქვეყანა ვითარდება, აცხადებენ ხელისუფლების წარმომადგენლები და იმასაც დასძენენ, რომ ოპოზიციის კრიტიკა ამ მხრივ უმართებულოა. ცხადია, ქვეყანაში არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობა გვაქვს, თუმცა არც მთლად უიმედო ვითარებაა. ქვეყანას ჰყავს ხელისუფლება, რომელიც მეტ-ნაკლებად თავსართმევს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, შესაძლებლობის ფარგლებში აკეთებს საქმეს, ბევრი რამ გამოსდის, ბევრი შეიძლება არ გამოუვიდეს, თუმცა მთავარი ისაა, რომ ქვეყანაში წესრიგია შენარჩუნებული. ოპონენტები ხელისუფლებას არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობის გამო ხშირად აკრიტიკებენ. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ეკონომიკა საქართველოში ყველა ხელისუფლების „აქილევსის ქუსლია“. ამ სფეროში საკმაოდ სერიოზული პრობლემებია. ბოლო 30 წლის განმავლობაში ჩვენ უფრო მეტს ვანგრევდით, ვიდრე ვაშენებდით, გავანადგურეთ ის მატერიალური ბაზა, რომელიც ზოგადად, ეკონომიკის განვითარებას ემსახურებოდა, მათ შორის ინდუსტრიულ დარგებს, რამაც, ბუნებრივია, მძიმე შედეგები მოიტანა. გარდა ამისა, აღსანიშნავია მნიშვნელოვანი გარემოება: ეკონომიკის განვითარებას დიდი კაპიტალი სჭირდება, რაც ხელისუფლებას არ გააჩნია. ეს კაპიტალი გარედან უნდა შემოვიდეს. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყანა კონფლიქტურ რეგიონში მდებარეობს, რაც გარკვეულ შემთხვევაში უარყოფით გავლენას ახდენს ინვესტორებთან ურთიერთობაზე. სხვათა შორის, პრემიერმა ღარიბაშვილმა თქვა, რომ საქართველოს ეკონომიკა მნიშვნელოვნად ვითარდება და სამომავლოდ განხორციელდება მეგაპროექტები, ანაკლიის ჩათვლით, აფხაზებსა და ოსებს მნიშვნელოვან გეგმას სთავაზობს საქართველოსთან რეინტეგრაციის კუთხით, თუმცა ისიც უდავოა, რომ ამ ყველაფერთან ერთად, საქართველო თუ არ მიიღებს წევრობის კანდიდატის სტატუსს, ცხადია, დასავლური კაპიტალი ქვეყანაში არ შემოვა და შესაძლოა საქართველოში ანტიდასავლური კამპანია გაჩაღდეს, რისი დაშვებაც არ შეიძლება.

> ისტორიულ მოვლენად შეფასდა ჰააგის ამასწინანდელი გადაწყვეტილება 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით, რომლითაც საქართველო გამართლდა, ანუ დადგინდა, რომ ქართველ სამხედროებს არანაირი დანაშაული არ ჩაუდენიათ, ხოლო რუს სამხედროებსა და სეპარატისტებს დაუმტკიცდათ სხვადასხვა დანაშაული, რაც ჩვენმა ქვეყანამ უნდა გამოიყენოს და რუსეთს ვალდებულებების შესრულება მოსთხოვოს

როგორც ცნობილია, ევროკომისიამ საქართველოსგან განსხვავებით, უკრაინასა და მოლდოვას წევრობის კანდიდატის სტატუსი მიანიჭა, ჩვენს ქვეყანას კი ნაკლოვანებების გამოსასწორებლად ვადა 2023 წლის შემოდგომამდე დაუწესა. ამის მიზეზი, მათი თქმით, ვალდებულებების იგნორირებაა. ისმის კითხვა: წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღების შანსის გამოყენება რამდენადაა დამოკიდებული პოლიტიკური სპექტრის სახელმწიფოებრივ ქმედებებზე? ცხადია, ამათგან განსაკუთრებით სახელისუფლებო ძალა უნდა გამოვყოთ. მათ ნამოქმედარზე იქნება დამოკიდებული მეორე შანსის გამოყენების ეფექტურობა. მივიღებთ კანდიდატის სტატუსს, ეს ხელისუფლების დამსახურება იქნება, ვერ მივიღებთ - ცალსახად, ესეც ხელისუფლების პასუხისმგებლობა იქნება. როგორც ცნობილია, წევრობის კანდიდატის სტატუსის არმინიჭებამ ქვეყანაში, გარკვეულწილად, დაძაბა პოლიტიკური ვითარება, გაიმართა რამდენიმედღიანი ანტისამთავრობო მიტინგი, ისმოდა ბრალდებები ხელისუფლების მისამართით, თუმცა ოპოზიციამ, როგორც მოსალოდნელი იყო, მოსახლეობის პროტესტი სათანადოდ ვერ გამოიყენა და ერთმანეთს დაერია. გარდა ამისა, არასაპარლამენტო ოპოზიცია საპარლამენტო ოპოზიციას აკრიტიკებს პარლამენტში საქმიანობის გამო. არანაკლები ვნებათაღელვაა სააკაშვილის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით. მისი პარტიის წევრები და, პრაქტიკულად, მთელი ოპოზიციური სპექტრი, ასევე ევროპარლამენტარები მოუწოდებენ ხელისუფლებას, ექსპრეზიდენტი უცხოეთში გაუშვან სამკურნალოდ, რათა, გარკვეულწილად, აღმოიფხვრას პოლარიზებული გარემო. ოპოზიცია აცხადებს, რომ კიდევ ერთი პრეზიდენტის სიკვდილი ქვეყნის იმიჯს დასავლეთში შელახავს. მმართველი გუნდის წევრები ხაზს უსვამენ, რომ სააკაშვილმა არაერთი ბოროტება ჩაიდინა და პასუხი უნდა აგოს კანონის წინაშე, რასაც „ნაცმოძრაობის“ წევრები კატეგორიულად არ ეთანხმებიან. ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია - დასავლეთისგან სულ უფრო მეტი კრიტიკა ისმის ხელისუფლების მისამართით, რაც მან უნდა გაითვალისწინონ, რადგან დასავლეთის მხარდაჭერის გარეშე ჩვენს ქვეყანას კარგი მომავალი არ ელის.

გადავიდეთ საგარეო პოლიტიკაზე, უდავოა, გლობალური პოლიტიკის უმთავრესი მოვლენა რუსეთ-უკრაინის ომია. რუსეთმა არა მხოლოდ აგრესია განახორციელა უკრაინის მიმართ, არამედ, პრაქტიკულად, მესამე მსოფლიო ომი გააჩაღა ევროპის კონტინენტზე. მიზანი უკრაინის სატელიტ სახელმწიფოდ გადაქცევაა, რასაც ეს ქვეყანაც ეწინააღმდეგება და დასავლეთიც. ფაქტები მეტყველებს, რომ ევროპის გეოპოლიტიკური სისტემის მდგრადობა ველარ იქნება ისეთი, როგორიც ომის დაწყებამდე იყო. დღეს უკრაინაში წყდება, მსოფლიოს თუ არა, ევროპის გეოპოლიტიკური სისტემის მდგრადობის ბედი. ეს კარგად გააანალიზა დასავლეთმა და უკრაინას ყოველმხრივ ეხმარება. სწორედ ამით უმკლავდება უკრაინა რუსულ არმიას. პრაქტიკულად, უკვე უკრაინული არმია აწარმოებს კონტრშეტევებს ფრონტის ყველა ხაზზე. როგორც ჩანს, რუსეთი არ ელოდა უკრაინის მხრიდან ასეთ ღირსეულ, საერთო-ეროვნულ წინააღმდეგობას და არც საყოველთაო თანადგომას მსოფლიოს წამყვანი ქვეყნებისგან, რომლებმაც უარი თქვეს ეკონომიკური სიკეთეების მიღებაზე და უმკაცრესი სანქციები დაუწესეს რუსეთს. ახლა უკვე რუსეთი ემუდარება აშშ-ს უკრაინასთან ზავის მიღწევის თაობაზე, რათა დრო მოიგოს და კვლავ აგრესია დაიწყოს. მნიშვნელოვანი იყო ზელენსკის ისტორიული ვიზიტი ამერიკაში, მას შეხვდნენ როგორც გმირს, დასავლეთის დამცველს. აშშ უკრაინას უპრეცედენტო დახმარებას ჰპირდება. ასევე, საყურადღებო გახლდათ ჩინეთისა და თურქეთის გააქტიურება შუა აზიასა და სამხრეთ კავკასიაში. ფაქტობრივად, ამ ორმა სახელმწიფომ შუა აზია რუსეთს ხელიდან წაჰგლიჯა, რასაც ცხადყოფს ისიც, რომ ისინი ერთვებიან დასავლურ მეგაპროექტებში ენერგორესურსების კუთხით. აზერბაიჯანი სულ უფრო გავლენიანი მოთამაშე ხდება ჩვენს რეგიონში თურქეთის ძალისხმევით. პრაქტიკულად, რუსეთს მსოფლიოში აქტიური მხარდამჭერი არ ჰყავს, თუ არ ჩავთვლით ბელარუსს და ირანს. თუმცა ლუკაშენკო ვერ დაითანხმა უკრაინის წინააღმდეგ

იხ. მე-7 გვ.

## უცხოეთი

მკაფიოდ უნდა გვქონდეს გააზრებული: ამ რუსეთთან ნორმალური ურთიერთობები ვერ გვექნება, - ამის შესახებ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანალენა ბერბოკმა განაცხადა. „გვსურს დავინახოთ მშვიდობიანი და დემოკრატიული რუსეთი, რომელიც არაა საფრთხე თავისი მეზობლებისთვის. მაგრამ მოდით ილუზიები არ გვქონდეს - ჩვენ სხვა რეალობაში ვცხოვრობთ. სწორედ ამიტომ მიზანი უნდა იყოს მუდმივ საფუძველზე რუსეთის წინააღმდეგ ჩვენი საერთო უსაფრთხოების გაძლიერება“, - თქვა ბერბოკმა. მან ხაზი გაუსვა, რომ დასავლეთი რუსეთის წინააღმდეგ სანქციების გაძლიერებას გააგრძელებს მანამ, სანამ გრძელდება „უხეში, აგრესიული ომი და საერთაშორისო სამართლის დარღვევა, ვინაიდან უკრაინა ასევე ევროპის თავისუფლებას იცავს“.

* * *

უკრაინას ბრძოლის გაგრძელება მხოლოდ იქამდე შეუძლია, ვიდრე აშშ მას ფულითა და იარაღით ეხმარება, - ამის შესახებ უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა განაცხადა. მისი თქმით, „თუ აშშ-ს მშვიდობა სურს, მშვიდობა იქნება“. უნგრეთის პოზიციასთან დაკავშირებით ორბანმა აღნიშნა, რომ უნგრეთი „პროუნგრულია“. „ჩვენი პასუხი კითხვაზე, ისტორიის კარგ თუ ცუდ მხარეს ვიმყოფებით, იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ისტორიის უნგრეთის მხარეს ვიმყოფებით“, - თქვა მან და დასძინა, რომ უნგრეთი მხარს უჭერს და ეხმარება უკრაინას.

* * *

ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერა განკარგულებას სპეციალური ზომების შესახებ ზოგიერთი სახელმწიფოს მიერ ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ზღვრული ფასების შემოღების საპასუხოდ. შესაბამისი დოკუმენტი იურიდიული ინფორმაციის პორტალზე გამოქვეყნდა. ის კრძალავს ნავთობის მიწოდებას, თუ კონტრაქტებში პირდაპირ ან ირიბად არის ფიქსირებული მაქსიმალური ფასი. ნავთობის მიწოდების აკრძალვა ამოქმედდება 2023 წლის პირველი თებერვლიდან და მოქმედებს მომდევნო წლის პირველ ივლისამდე. ნავთობპროდუქტების მიწოდების აკრძალვის თარიღს მთავრობა დაადგენს. დეკემბრის დასაწყისში G7-ის ქვეყნებმა, ევროკავშირმა და ავსტრალიამ დაამტკიცეს რუსული ნავთობის ფასი ბარელზე 60 დოლარის ნიშნულზე.

* * *

თურქეთმა შავ ზღვაში ბუნებრივი აირის ახალი მარაგი აღმოაჩინა. ამის შესახებ ადგილობრივი მედია იუწყება. პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანის განცხადებით, გაზის მარაგი 710 მილიარდ კუბურ მეტრამდე გაიზარდა, რომლის საბაზრო ღირებულება ერთი ტრილიონი დოლარია. მისივე თქმით, ქვეყნის საბოლოო მიზანია, რაც შეიძლება მალე მიაღწიოს ენერგოდამოუკიდებლობას.

* * *

აშშ-ში უამინდობის შედეგად, სულ მცირე, 62 ადამიანი დაიღუპა, ათასობით კი ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი. ყველაზე დიდი ზარალი სტიქიამ ნიუ-იორკის შტატში მდებარე ქალაქ ბუფალოს მიაყენა, სადაც ქარბუქის შედეგად 28 ადამიანი დაიღუპა. გაუქმებულია ათასობით ავიარეისი. ნიუ-იორკში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა.

მოამზადა
ია შველიძე

# ყველაზე გამორჩეული ახალი წელი – ცნობილი ბათუმლებისთვის

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

*ახალი წლის შემობრძანებას ყველა - დიდი, თუ პატარა მოუთმენლად ელის იმედით, ახალი სურვილებით და მიზნებით ეგებება მას. რა თქმა უნდა, ყველას გვაქვს ახალი წლის შეხვედრის ისეთი ისტორია, რომელიც გამორჩეულია და არასოდეს გვავიწყდება. რომელი წელი იყო ყველაზე განსაკუთრებული ჩვენი თანაქალაქელებისთვის და რით დაამახსოვრდათ იგი*

**ლაშა ჩხარტიშვილი, თეატრმცოდნე:** - ჩემთვის ყველაზე დასამახოვრებელი იყო 2017 წელი, გერ-



მანიაში. სულ ვოცნებობდი, რომ ახალ წელს თვითმფრინავში შევხვედროდი, ეს ოცნებაც ამიხდა და სულაც არ აღმოჩნდა კომფორტული. 31 დეკემბერს, ღამით, ჰამბურგში დავასრულეთ სპექტაკლის წარმოდგენა. 2 იანვარს კი ფრანკფურტში გვქონდა, ამიტომ 31-ში უნდა გადავფრენილიყავით, მომდევნო წარმოდგენისთვის რომ მოვმზადებულიყავით. რეისი ჩანიშნული იყო ზუსტად 00:30 საათზე, 1.01.2017. ფაქტობრივად, ახალ წელს რეგისტრაციის და უსაფრთხოების კონტროლის გავლის დროს შევხვდით. იმ რეისზე იყო დიდი მხიარულება და ჟრიამული, ბევრი შამპანური და საახალწლო სიმღერა სხვადასხვა ენაზე. ფრანკფურტში რომ ჩავფრინდით, ახალი წლის აღნიშვნა სასტუმროში გავაგრძელეთ. არასდროს დამავიწყდება ასეთი ორიგინალური ახალი წელი.

**ტიტე აროშიძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:** - პირველ რიგში, სრულიად მსოფლიოს და საქართველოს ვუსურვებ მშვიდობას, ყველა ახალი წელი იმედების და სიახლის მოლოდინის დასაწყისია. ალბათ, 31 დეკემბერია ის დღე, რომელიც დიდსაც და პატარასაც ერთნაირად უხარია. ჩემთვის ყველა ახალი დღე და წელი სიახლის მოლოდინით იწყება, ამიტომ ყოველ გათენებულ დღეს მადლიერების გრძნობით ვეგებები.



თუმცა მაინც არსებობს გამორჩეული თარიღები და ისეთი ახალი წელი, რომელიც გონებამ ოქროს სკივრში შემოინახა. 2010 და 2011 წლები იყო გამორჩეული, რადგან სწორედ ამ წლებში მე და ჩემს მეუღლეს შეგვეძინა შვილები - ცოტნე და ნანა აროშიძეები. ვფიქრობ, ადამიანის უპირველესი მისია, როცა ამ ქვეყნად ცხოვრობს, არის მემკვიდრეობის გაგრძელება, რაც უფალმა დააწესა. სწორედ ამ მისიის შესრულების დასაწყისია შვილების მოვლინება ამ ქვეყნად. ამიტომ, განსაკუთრებით ვულოცავ პატარებს ახალ წელს, ვუსურვებ მშვიდობას, ჯანმრთელობას და ბედნიერ წლებს!

**შოთა გუჯაბიძე, საზოგადოება „ბათომის" წევრი:** - პირველ რიგში, უნდა ვთქვა, რომ დღესასწაულები არ მიყვარს, მათ შორის, არც ახალი წელი და საკუთარი დაბადების დღე. ვერ ვხვდები, რა არის სა-



ზეიმო იმ ამბავში, რომელიც ზუსტად იცი, რომ მოხდება. ამის მიუხედავად, მაინც მიწევს აღნიშვნა, როგორც საზოგადოების წევრს. საზოგადოება ბევრ რამეს წყვეტს შენს ნაცვლად. ბავშვობიდან მახსოვს ერთი ახალი წელი (პატარა ვიყავი და წელი არ მახსოვს), სოფელი მაქვს გურიაში, ჯურუყვეთში და იქ შევხვდით მთელი სანათესაო ახალ წელს. თან თოვდა, ძალიან ბევრი ხალხი იყო, სტუმრები და ხმაური... ძალიან ბევრი აღარაა ცოცხალი და ამიტომ უფრო მძაფრად მახსოვს ის ახალი წელი. უახლოესი წარსულიდან 2016 მახსოვს, აქციები გვქონდა ბულვარის დასაცავად და დიდი თოვლი მოვიდა. მთელი ქალაქი გამოვიდა ხეების დასაფერთხად. ხელისუფლებასაც სხვა გზა აღარ ჰქონდა და იმათაც დაიწყეს კეკლუცობა კამერების წინ. მაშინ იყო ისტორიული მაგნოლია რომ წაიქცა. იმ დღეს კი გადავარჩინეთ ბულვარი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მხოლოდ დროებით.

**ტიტე კომახიძე, მსახიობი:** - ბოლო წლებია, სულ გარდაცვლილები მყავს და იმის წინა წლები არც მახსენდება. იმედი მაქვს, წლე-



ვანდელი წელი იქნება დასამახსოვრებელი. ისე, გასულ წელს ერთი „გამონათება" ის მქონდა, რომ „ნეტფლიქსთან" გავაფორმე ხელშეკრულება და 3 თვე პრაღაში მიღებდნენ ფილმში „EXTRACTION 2" კრის ჰემსვორთთან ერთად. მართალია, ეპიზოდურ როლში, მაგრამ მაინც საინტერესო გამოცდილება მივიღე.

**მადონა მჟავანაძე, თეატრმცოდნე:** - მთელი ცხოვრება ვოცნებობდი ვენის ფილარმონიის საახალწლო კონცერტზე დასწრებას. ერთ მშვენიერ დღეს ეს ოცნებაც გამიქრა, როდესაც გამახსენდა, რომ სახლში საახალწლოდ ინდაურის საცივი უნდა გამეკეთებინა. მე საცივის გაკეთება არ ვიცოდი. გულშეღონებული ვუყურებდი ჩემი სიმაღლის ინდაურს და ვფიქრობდი, რა უნდა მოვუხერხო ახლა ამას... ამ დროს შემოვიდა ჩემი გურული მეზობელი და მითხრა: „შე კტარო, მაგას შენ რაფერ გააკეთებ?! არც შენი ბაზარში ნაყიდი სუნელი მინდა, მე მაქ ჩემი სუნელი ბოხვაურიდან ჩამოტანილი, გადი შენ სამზარეულოდან, მე გაგიკეთებ ამ საცივსო"... მერიკო კანდელაკმა იმისთანა საცივი გამიკეთა, სიხარულისგან ჭკუაზე არ ვიყავი. გავშალე საახალწლო სუფრა და აღფრთოვანებულმა, ამ სიხარულის გასაზიარებლად ჩემი ოჯახის წევრები 12 საათის შემდეგ დავტოვე და ჩემს საყვარელ მეზობლებს ჩამოვუარე. დავიწყე მე-9 სართულიდან და დაბლა ჩამოვყევი. მახსოვს, ბოლოს მე-3 სართულზე დავამთავრე, სადაც ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. იმათ შორის ლოგინში ვიწექი და „голубой огонёк"-ს ვუყურებდი. მართალია, გული დამწყდა, რომ შტრაუსს ვერ ვუსმენდი ვენის ფილარმონიის დიდ დარბაზში, მაგრამ, კარგად შეუფუფუნებული, დილის 6 საათზე (ცხოვრებაში არ დამილევია სასმელი) დავუბრუნდი ჩემს ოჯახს.



ჰეშთეგით - ცუდი მეზობლის ჭირიმე, კარგი რაღა იქნებაო! ვულოცავ ჩემს ძვირფას მეგობრებს: ლეილას, მარიკას, მანანას, დათოს, ციურის, ხათუნას, ახლებს, ძველებს, ჩემს მეზობლებს... ყველას, სიყვარულით, დამდეგ 2023 წელს!

# წერილები თოვლის ბაბუს – რა სურთ ბავშვებს?

ფიქრია დავლაძე 579 25 25 72

ახალი წლის დადგომა ყველაზე მეტად ბავშვებს უხარიათ. ისინი ახალ წლამდე რამდენიმე თვით ადრეც კი სწერენ წერილებს თოვლის ბაბუს. მთელი წლის განმავლობაში „უჯერებენ" მშობლებს, ბებია-ბაბუებს, ცდილობენ, მოიქცნენ სანიმუშოდ, კარგად სწავლობენ... წლის ბოლოს მათი საქციელის დადებითად შეფასებასაც ელიან, რათა თოვლის ბაბუსგან შესაბამისად დასაჩუქრდნენ. ბავშვები - ყველაზე გულწრფელი პატარა ადამიანები, ღიად და დაუფარავად წერენ თავიანთ ოცნებებსა და სურვილებზე. ყველაზე მეტად სწორედ მათ სჯერათ, რომ ადამიანი რასაც გულით ინატრებს, აუცილებლად აუსრულდება...

გაზეთმა „აჭარამ" მათ თოვლის ბაბუსადმი მიწერილი სურვილების გაზიარება სთხოვა. ჩვენ შევარჩიეთ წერილების ავტორები, რომლებიც განსაკუთრებული თხოვნით გამოირჩევიან. მათ სურვილებს უცვლელად შემოგთავაზებთ:

„ძვირფასო თოვლის ბაბუ, მინდა მადლობა გადაგიხადო გასული წლის სურვილი რომ შემისრულე. მაშინ გწერდი რომ პანდემია მალე დასრულებულიყო, მეგობრებთან თამაში და სკოლაში სიარული ძველებურად შემძლებოდა. მართლაც, ასე მოხდა და ძალიან ბედნიერი ვარ. ახლა კი მინდა მსოფლიოში მშვიდობა იყოს, ყველაზე მეტად ახლა ის მინდა, რომ ახალ წელს უკრაინელი ბავშვები მშვიდობით შეხვდნენ და რაც მთავარია, ჰქონდეთ შუქი. მაშინ ისინი საახალწლო მელოდიების ხმამაღლა მოსმენას შეძლებენ და ბომბების ხმას ველარ გაიგონებენ. სხვა სურვილებიც მაქვს, მაგრამ ყველაფერი აზრს კარგავს, თუ მშვიდობა არ იქნება", - 10 წლის **ლაზარე ოქროპირიძე**. ის, რომ მატერიალურზე მეტად ბავშვები სოციალური პრობლემების მოგვარების სურვილით არიან აღსავსენი, ამაში 11 წლის **თაზო ტაკიძის** წერილიც გვარწმუნებს. იგი იმ ბავშვების დახმარებას თხოვს თოვლის ბაბუს, რომლებიც ქუჩაში, ღია ცის ქვეშ ცხოვრობენ. თაზოს სურვილია, რომ პატარები ნორმალურ პირობებში ცხოვრობდ-



ნენ და არ ენატრებოდეთ ტკბილეული: „თოვლის ბაბუ, სანამ ჩემს სურვილს დავწერ, მანამდე მინდა იმ ბავშვების ნატვრა აახდინო, რომლებიც ღია ცის ქვეშ ცხოვრობენ. არ აქვთ სახლი და სცივათ ზამთარში. ვიცი, რომ ქვეყანაში კრიზისია და შესაძლოა იმდენი საშუალება არ გაქვს, რომ ყველას სურვილი



აასრულო, მაგრამ მაინც მოგწერ ჩემს ნატვრასაც და თუ შესაძლებელი იქნება, 2023 წელს შემისრულე".

დიახ, ვინ მოთვლის, რამდენი თხოვნის წერილი იწერება თოვლის ბაბუს მისამართით ახალ წლამდე. ბავშვები იმ საჩუქრების მოტანას სთხოვენ თოვლის ბაბუს, რომლებიც მათთვის მნიშვნელოვანია. მაგალითად, 10 წლის **ანდრია შაინიძეს**, რომელიც მომავალი ფეხბურთელია, სურს ხვიჩა კვარაცხელიას



მსგავს წარმატებას მიაღწიოს. ჰოდა, თოვლის ბაბუსაც საუკეთესო ბუცებს სთხოვს, თვლის, რომ კარგი სპორტული ფეხსაცმლის შემთხვევაში მისი წარმატებაც გარდაუვალია. რამდენიმე ბავშვის სურვილი კი ის არის, რომ მშობლებთან რაც შეიძლება მეტი დრო გაატარონ. 21-ე საუკუნეში ურთიერთობის დეფიციტია. ეს, პირველ რიგში, ბავშვების ემოციურ მდგომარეობაზე აისახება.

„სწავლის გარდა მინდა, რომ კარგი საქციელითაც შემაფასოთ და ჩემი დედიკო და მამიკო რომ სახლში დიდხანს იყვნენ, გამიხარდება. დედა ძალიან მენატრება, იგი თითქმის არ მელაპარაკება, სულ ტელეფონით აგვარებს სამსახურის საქმეებს, მამა კი მაშინ მოდის, როცა მძინავს, დილითაც მაშინ მიდის, როცა მძინავს. მინდა, რაღაც შეიცვალოს, არ ვიცი რა, მაგრამ თქვენ უკეთ გეცოდინებათ ამის მოგვარება როგორ შეიძლება", - 9 წლის **თათა აბულაძე**.

გაზეთი „აჭარა" ყველა ბავშვს უსურვებს სანუკვარი და კეთილი სურვილების ასრულებას, დაე, თოვლის ბაბუ წელს განსაკუთრებულად გულმოწყალე ყოფილიყოს მათ მიმართ!


წერილი თოვლის ბაბუს.
თოვლის ბაბუ, სანამ ჩემს სურვილს დავწერ
მანამდე მინდა იმ ბავშვების ნატვრა აახდინო,
რომლებიც ღია ცის ქვეშ ცხოვრობენ, არ აქვთ
სახლი და სცივათ ზამთარში. ვიცი რომ ქვე-
ყანაში კრიზისია და ფული [illegible] საშუალებ-
არ გაქვს, მაგრამ იქნებ ჩემი სურვილიც აას-
[illegible] რულო მე ვარ თაზო ტაკიძე, ვარ 11 წლის
ვცხოვრობ აჭარაში. მე მინდა კარატისტური ნუ-
[illegible] და [illegible].

# ყველაზე „ფერადი“ და ჯადოსნური დღესასწაული

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

*ყველა ახალი იმედებით, იმ მოლოდინით ხვდება ახალ წელს, რომ დამდეგი 2023 წელი მოგვიტანს მშვიდობას და ჰარმონიულობას. ბობოქარი და აქტიური ვეფხვის წლის შემდეგ სამყარო დაწყნარდება. ადამიანებს მოუნდებათ ფსიქოლოგიური აღდგენა, დასვენება რუტინისგან*

გახშირდება ოჯახური და ნათესაური შეკრებები. 2023 წლის მმართველი წყლის შავი კურდღელი იქნება. კურდღელი მოკრძალებული, კეთილგანწყობილი ცხოველია.

მიუხედავად რთული წელიწადისა, ადამიანები ცდილობენ შესაბამისი გარემოსა და განწყობის შექმნას. საახალწლო დეკორაციებში მორთული ქალაქით ვხვდებით ახალ წელს. ყველა საახალწლო სამზადისშია და თვალებანთებულნი ელიან ახალ წელს. დეკემბერში საახალწლო ღონისძიებები, დღესასწაულები და გართობის უამრავი საშუალება ერთად იყრის თავს, რომ წლის ბოლო ბედნიერად დასრულდეს. საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ახალ წელს ოჯახის წევრებისა და მეგობრების გარემოცვაში ხვდება. ქართველებისთვის მნიშვნელოვანია, ახალი წლის სუფრა იდეალურად გამოიყურებოდეს, იყოს ტრადიციული კერძებით და ტკბილეულით გაწყობილი. ესეც ტრადიციაა - თითქოს ბარაქიანი საახალწლო სუფრა მთელი წლის ბარაქას უყრის საფუძველს.

კურდღლის წლის შესახვედრად განსაკუთრებული დრეს-კოდი არ გვჭირდება. უპირატესობა უნდა მივანიჭოთ თეთრ, ნაცრისფერ, შავ ფერებს ან მათ კომბინაციას. ალბათ იმის შეხსენება არ დაგჭირდებათ, რომ საახალწლო სუფრაზე კურდღლის ხორცისგან მომზადებული კერძი არ უნდა გქონდეთ. სხვა ხორცეულის გამოყენება არ გეკრძალებათ. კურდღელთან ერთად 2023 წლის მმართველი კატაც იქნება. ამიტომ სუფრაზე უხვად გქონდეთ თევზის კერძები, ხილი, ბოსტნეული და მწვანილი. მაგიდაზე დადგით კურდღლისა და კატის გამოსახულებები.

საქართველოში საახალწლო ტრადიციების ჩამოყალიბება საკმაოდ დიდი ხნის წინათ დაიწყო და მას შემდეგ მუდმივად ვითარდებოდა, თუმცა საბოლოოდ, XIV საუკუნეში დამკვიდრდა. ქართული საახალწლო სუფრა გამორჩეულია, ის ძირითადად, ტრადიციულად არის გაწყობილი. ისეთი ტრადიციული კერძები და ტკბილეული, როგორიც არის საცივი, ხაჭაპური, ჩურჩხელა და გოზინაყი, ქართული საახალწლო სუფრისთვის აუცილებელი ელემენტია. როგორც კი სუფრა მზად არის და საახალწლო ღონისძიებები იწყება, საათი თორმეტს რომ ჩამოჰკრავს, ყველა ერთმანეთს ულოცავს ახალი წლის შემობრძანებას. 2 იანვარი საქართველოში ბედობის დღეა. ტრადიციის მიხედვით, ამ დღეს როგორც გაატარებ, მთელი წელი ისე დაგებედება. ამიტომაც, ყველა ცდილობს ბედნიერება, სიხარული და სიმშვიდე დაიბედოს. ამ დღის მთავარი გმირი „მეკვლეა“, პირველი ადამიანი, რომელიც ოჯახს 2 იანვარს ესტუმრება. მეკვლეს დიდი მნიშვნელობა აქვს ქართულ ტრადიციულ ოჯახში. მეკვლეც და მასპინძელიც ერთად იბედებს ბედნიერებას და აღნიშნავენ ახალ წელს.

ძველით ახალი წლის ტრადიცია საქართველოში წლებია არსებობს, რომელსაც 14 იანვარს აღნიშნავენ, თუმცა 1 იანვართან შედარებით ამ დღისთვის ნაკლებად ემზადებიან. ქართველები ძველით ახალ წელს ახალი შემართებით ხვდებიან.

საინტერესოა, რა კერძები ამშვენებს სხვადასხვა ქვეყნის საშობაო თუ საახალწლო სუფრას? შობა უამრავ ქვეყანაში ყველაზე საყვარელ საოჯახო დღესასწაულად ითვლება და საშობაო სუფრაც საუკეთესო ადგილია საყვარელი ადამიანებისა და ახლობლების შესაკრებად.

ახალ წელს ყველა ქვეყანაში თავისებური წესებითა და ტრადიციებით აღნიშნავენ. ჩვენ ყურადღებას კულინარიულ ტრადიციებზე გავამახვილებთ.

იტალიური შობა წარმოუდგენელია ტრადიციული პენეტონეს გარეშე. მისი მრავალი სახეობა არსებობს: კრემიანი, შოკოლადიანი, ჩირეულით და ა.შ. ეს ნამცხვარი შუა საუკუნეებიდან მზადდება იტალიაში. რეგიონების მიხედვით მრავალფეროვანია ტკბილ-



ეულიც. სიცილიაში წარმოუდგენელია დღესასწაული ტრადიციული ტორონის გარეშე. ეს ესპანური ტურონის აქაური ვარიანტია. ტოსკანაში პანფორტეს ამზადებენ, ეს არის ნუშით, ჩირეულით, ციტრუსით და თაფლით მომზადებული ტკბილეული.

ფრანგული საშობაო სუფრა ნამდვილად პომპეზურია. ეს ის დღეა, როცა ყოველი ფრანგი თავს უფლებას აძლევს დელიკატესები დააგემოვნოს: ფუა გრა, ხამანწკები, შებოლილი ორაგულის ფილე თითქმის ყველა სუფრას ამშვენებს. ინდაური წაბლით ტრადიციული საშობაო კერძია საფრანგეთში, ხოლო საშობაო რულეტი - უცვლელი ტკბილეული. საფრანგეთის პროვინციებს, რა თქმა უნდა, თავიანთი წეს-ჩვეულებები აქვთ. მაგალითად, პროვანსში დღემდე ცოცხლობს 13 სახის დესერტის მომზადების ტრადიცია, რომელიც ქრისტესა და მისი 12 მოწაფის სიმბოლოა, ალზასში კი მე-16 საუკუნიდან მოყოლებული, დღემდე ამზადებენ თაფლაკვერს ნუშით, დარიჩინით, ილითა და თაფლით, რომელსაც წმინდა ნიკოლოზს სწირავენ.

ბრიტანული საშობაო სადილის აუცილებელი ატრიბუტია შემწვარი ხორცი, ინდაური ან ბატი. საშობაო პუდინგი კი ტიპური ინგლისური დესერტია.

იაპონიაში ახალი წლის აღნიშვნის განსხვავებული წესი აქვთ. ტრადიცია მოითხოვს, რომ ამ დღეს არაფერი გააკეთონ, საჭმელიც კი, ამიტომ იაპონელი დიასახლისები საახალწლო კერძებს წინასწარ ამზადებენ და ინახავენ. ახალ წელს იაპონიაში აუცილებლად მიირთმევენ წვნიანს - ზონი, რომელსაც ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში განსხვავებულად ამზადებენ, თუმცა რამდენიმე უცვლელი ინგრედიენტი აქვს. პოპულარულია ბრინჯის ნამცხვრები და ზღვის პროდუქტის კერძები.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ტრადიციული საშობაო-საახალწლო მენიუ არ არსებობს. ვინაიდან ინდაური მადლიერების დღის სიმბოლოა, საახალწლოდ შემწვარი ხორცია მთავარი კერძი, ასევე, შებოლილი ორაგულისგან დამზადებულ სხვადასხვა ვარიაციას მიირთმევენ, დესერტი კი რეგიონის კულინარიაზე ან თავად მზარეულზეა დამოკიდებული. თეთრ სახლში აუცილებლად მიირთმევენ ე.წ. პრეზიდენტის ნამცხვარს, რომლის რეცეპტიც აბრაამ ლინკოლნის დროინდელია. სამაგიეროდ, მთელს ამერიკაში მიირთმევენ ლიქიორ Egg Nog-ს. ეს არის სქელი, სურნელოვანი სასმელი რომით, კვერცხით, სანელებლებითა და რძით.

საინტერესოა უკრაინული საშობაო სუფრა, სადაც ძირითადად, მარცვლეულისგან დამზადებული კერძები, ხილი, ბოსტნეული და თევზეულია წარმოდგენილი. მაგიდაზე აუცილებლად უნდა იდოს ხორბლის თავთავი და სამი ერთმანეთზე დაწყობილი სხვადასხვა ზომის საშობაო პური, რომელიც წმინდა სამებას განასახიერებს. რა თქმა უნდა, სუფრას აუცილებლად ამშვენებს მრავალნაირი უკრაინული ღვეზელი და ვარენიკი.

ჩინეთში ახალი წელი გაზაფხულზე დგება და საახალწლო წეს-ჩვეულებებიც განსხვავებულია რეგიონების მიხედვით, მაგრამ არის რამდენიმე კერძი, რომლებსაც ჩინელები ამ დღესასწაულზე მთელ ქვეყანაში ერთნაირად აფასებენ და ამზადებენ, ასეთია, მაგალითად, ჩინური რავიოლები ჟიაოზი, რომელსაც ორთქლზე ამზადებენ, ხშირად მასში პატარა მონეტას ან სხვა სიურპრიზს დებენ, რომელსაც, მათი რწმენით, მპოვნელისთვის ბედნიერება მოაქვს. ასევე, ყველა ჩინელი ახალ წელს აუცილებლად მიირთმევს ბრინჯისგან დამზადებულ ნამცხვარს და ხორბლის ან ბრინჯის ფქვილისგან დამზადებულ გრძელ „სპაგეტის“, რომელიც დღეგრძელობის სიმბოლოა.

გერმანული შობის ღამე ერთდროულად ძალიან საზეიმო და მადისაღმძვრელია. დიდი ხნის განმავლობაში ღორის ხორცი საშობაო სუფრის მთავარი კერძი იყო, მაგრამ თანამედროვე გერმანიაში მას ნელ-ნელა ფარშირებული შემწვარი ინდაური ანაცვლებს. პოპულარულია პატარა ფხვიერი ორცხობილები, რომელთაც ნაძვის ხის, ვარსკვლავის, თოვლის ბაბუს ფორმა აქვთ და ვანილის, დარიჩინის, ილის სურნელს აფრქვევენ. თუმცა მთავარი საშობაო დესერტი მაინც შტოლენია - წაგრძელებული ფორმის არომატული ნამცხვარი, რომელშიც ჩირეული, ნუში, ქიშმიში, რომი, სანელებლები შედის და შაქრის პუდრითაა დაფარული. ეს ნამცხვარი ყრმა ქრისტეს სიმბოლოა.

ესპანეთის კულინარიული ტრადიციები პროვინციების მიხედვით განსხვავდება, თუმცა საშობაო-საახალწლო მენიუ ძირითადად ერთნაირია: შემწვარი ცხვრის ბარკალი, ზღვის პროდუქტი და ინდაური. საშობაო სადილი, როგორც წესი, შუაღამემდე მთავრდება, რადგან თითქმის ყველა ჩქარობს ოჯახთან ერთად შუაღამის წირვაზე დასწრებას. ტკბილეულობიდან ყოველ ესპანურ სუფრაზე შეხვდებით ტურონს: ეს არის შოკოლადის ან ნუგას სახეობა, რომელშიც ამოვლებულია თხილი, ნუში, ნიგოზი, ჩირეული, ჰაეროვანი ბრინჯი და ა.შ. ძველად, ესპანური ტრადიციის მიხედვით მეზობლები ერთმანეთს ჩუქნიდნენ საუკეთესო ადგილობრივი პროდუქტით - ზეითუნის ზეთით, ღვინით, თხის ყველით, ნუშით, ძეხვეულით და ა.შ. სავსე კალათებს. დღეს ასეთი კალათები ყველა ესპანურ მაღაზიაში იყიდება.

ფინურ საახალწლო სუფრას ზღვის პროდუქტები ამშვენებს: ორაგული, ქაშაყი სხვადასხვა სოუსით, ხიზილალა. დესერტად კი ზღვის ვარსკვლავის ფორმის ნამცხვარს ამზადებენ.

პორტუგალიაში მთავარი საახალწლო კერძია ვირთევზა კარტოფილით და ზეითუნის ზეთით და შემწვარი ციკანი. თუმცა თანამედროვე ევროპული გავლენა აქაც შეიმჩნევა და ციკანს სულ უფრო ხშირად ანაცვლებენ ინდაურით.

უნგრეთში დიდ ყურადღებას აქცევენ საახალწლო სუფრის დეკორაციას და ხშირად იყენებენ უნგრეთის დროშის ფერებს: წითელს, თეთრსა და მწვანეს. მთავარი კერძი თევზია, ხოლო დესერტად ხაშხაშიან და ნიგვზიან ნამცხვარს ამზადებენ, სადაც ყაყაჩო ერთობისა და ქორწინების სიმბოლოა, ნიგვზის დახმარებით კი მომავალს წინასწარმეტყველებენ.

ყველა დანიელის სახლში აუცილებლად ცხვება პატარ-პატარა საახალწლო ორცხობილები და ნამცხვრები, ხოლო სუფრას შემწვარ ინდაურთან ერთად ყოველთვის ამშვენებს თევზეული, განსაკუთრებით კი ქაშაყი.

ბელგიასა და ლუქსემბურგში შობა წარმოუდგენელია დარიჩინიანი თაფლაკვერების გარეშე, რომელთაც სხვადასხვა პერსონაჟის ფორმა აქვთ. სუფრაზე აუცილებლად დევს შემწვარი ბატი ან ინდაური. ახალი წლის დღეს კი მიირთმევენ ტრადიციულ შუკრუტს: მჟავე კომბოსტოს კერძს, მომზადებულს სხვადასხვა სახის ძეხვეულთან და ხორცთან ერთად.

ბულგარეთში სუფრაზე უნდა იდოს შვიდი, ცხრა ან თორმეტი სახის კერძი, კვირის შვიდი დღის, ორსულობის ცხრა თვისა და წელიწადის თორმეტი თვის აღსანიშნავად. აცხობენ პურს „ბოგოვა პიტას“, რომელშიც აყოლებენ პატარა მონეტას. ბულგარელების რწმენით, ამ მონეტის მპოვნელს მთელი წელი ბედნიერება არ მოაკლდება.

# მეკვლე რომ უცხოპლანეტელი იყოს...

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ათი წუთიც და ახალი წელი დადგებოდა. ნაირფრად მორთული ქალაქი თოვლის ფიფქებში უცხო ნათელს გამოსცემდა და მოლოდინს ამძაფრებდა. ადამიანები სასოებით ელოდებოდნენ, საათის ისრები 12-ს როდის მიუახლოვდებოდა, როდის გაიელვებდა საახალწლო შუშხუნები და ათვლას დაიწყებდა ახალი წელი. იყო ამ მოლოდინში იმედიც და შიშიც... სიხარულიც და დაფარული ნაღველიც - რამდენი ადამიანის სიცოცხლე ჩაქრა გასულ თვეებში, რამდენის სიცოცხლე შეიწირა პანდემიამ... ახალი წელი კი რას მოგვიტანდა: მშვიდობას და სიკეთეს, ნუთუ ისევ ცხვიპირახვეულებს მოგვიწევდა სიარული ქუჩებში, ისევ სახლში ჩავიკეტებოდით და გავუუცხოვდებოდით ერთმანეთს?

ამ ფიქრებში ვიყავი გართული, როცა კარზე ზარმა დარეკა. გავიხედე, უცხო ადამიანი ზღურბლთან იდგა და ღიმილით შემომყურებდა.

- გამარჯობა, - მომესალმა ის, - მე თქვენი მეკვლე ვარ, შეიძლება შემოვიდე?

- მობრძანდით, სტუმარი ღვთისაა, მით უმეტეს მეკვლე!

შემოვიდა და მისალებში, ნაძვის ხესთან ჩამოჯდა. ზურგჩანთა მოიხსნა და საჩუქრების ამოლაგება დაიწყო.

- მე ანდრომედას გალაქტიკიდან ვარ, აი, თქვენთან ციფრული ტექნიკის ეს ბოლო მოდელები გამომატანეს... ჰო, კიდევ, ნახეთ ეს წიგნი, დედამიწის შესახებაა, სრულყოფილია ყოველმხრივ. აი, მისი ელექტრონული ვერსიაც...

- კარგი საახალწლო ხუმრობაა-მეთქი, როგორც კი გავიფიქრე, უმალ მიპასუხა:

- ჰო, ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ასეა, სინამდვილეს ვერ გაექცევით, სულ მალე ტურისტებად ივლით კოსმოსში, მაშინ ხომ დაიჯერებთ?!

- აბა ჩემნაირისთვის ამდენ საჩუქარს აქაური ვინ გაიმეტებდა?! კი, ბატონო, მჯერა, ნამდვილად უცხოპლანეტელი ხართ-მეთქი, რომ ვუთხარი, სახეზე ღიმილის შუქმა გადაუარა.

ჩემს ირონიას გაგებით შეხვდა და დამაიმედა:

- მალე თქვენთან ყველაფერი შეიცვლება, ახალი ტექნოლოგიური ეპოქა ზეადამიანებად გაქცევთ და მერე ჩვენი ურთიერთობაც უფრო ინტენსიური და მისაღები გახდება. ყველა უბედურება თქვენებური განათლების სისტემის ბრალია, ამას უკვე მიხვდნენ თქვენი თავკაცნი. ჩვენც დავეხმარებით და... ყოველმხრივ განვითარებული დედამიწა გვინდა ვიხილოთ, კოსმიურ მისიას მხოლოდ მაშინ შევასრულებთ... ახლა კი... ახლა თქვენს პლანეტაზე



არსებობა ნამდვილად ძნელია.

- ასეა კი, მაგრამ კაცი იმედით ცოცხლობს... მე ღმერთის იმედი მქონდა, არადა, თქვენ გამომეცხადეთ...

- რასაც თქვენ ღმერთს ეძახით, ის ჩვენთვის გონია და მე მისი ერთ-ერთი წარმომადგენელი ვარ.

- მადლობა ღმერთს და მადლობა თქვენს მობრძანებას! ახალ წელს უკეთესად ვინ მომილოცავდა?

მობრძანდით სუფრასთან, ნახეთ, დედამიწაზე როგორ ვხვდებით ახალ წელს.

...ამასობაში გაშლილ სუფრას ახლობლებიც შემოემატნენ. ზუსტად, 12 საათზე ცა მაშხალებმა დასეტყვეს და ახალი წელიც დადგა. ჩვენმა უცხოპლანეტელმა მეკვლემ კი ასეთი ლოცვა შემოგვაწია:

კაცნო, გიყვარდეთ ერთმანეთი, გაუფრთხილდით თქვენს ულამაზეს პლანეტას, იცხოვრეთ მშვიდობით და სიყვარულით!

# თანადგომის უნარი არ მოჰკლებოდეთ

***სამი წიგნის - ერთი ლექსების კრებულის და ორი რომანის ავტორია ჭვანელი დავით მუხამედის ძე ქათამაძე.***

«სამი წელი შევალიე რომანის «ფალავანი» დაწერას. გაძვირებული ფასების ფონზე, წიგნის დაბეჭდვისგან თავი შევიკავე. ოჯახის ბიუჯეტი ამას ვერ გასწვდებოდა. ეს ამბავი თანახეობელმა ბიზნესმენმა ლევან (ასლან) მჟავანაძემ გაიგო და წიგნის დასაბეჭდად საჭირო თანხის ნახევარზე მეტი გამომცემლობას ჩაურიცხა», - გვითხრა დავით ქათამაძემ.

დავითი არც პირველია და არც უკანასკნელი, ვისაც ხელი შეაშველა შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ წყაროთაში დაბადებულმა, მშობლიური სოფლისა და შუახევის დიდმა ქომაგმა ლევან მჟავანაძემ. მან დახმარების ხელი გაუწოდა საქართველოს მწერალთა შემოქმედების კავშირის წევრს, აჭარის მთიანეთში მომუშავე პოეტ ფრიდონ დავითაძეს. ბიზნესმენის წვლილიცაა იმაში, რომ საზოგადოებრივ-ლიტერატურული გაზეთი «შუახევი» პერიოდულად გამოდის და პანდემიის პერიოდშიც კი იბეჭდებოდა. იგი გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრიცაა. ლევანი თანადგომას არ აკლებს თანასოფლელებს. სოფლის საჯარო სკოლის მშენებლობისა და კეთილმოწყობისთვის, საავტომობილო გზების გაყვანა-რემონტისთვის გაიღო თანხა, პანდემიის პერიოდში და ახლაც ოჯახებს სასურსათო პროდუქტებით, სამშენებლო მასალებით დახმარებას უწევს. დიდია მისი როლი თანასოფლელთა საბინაო პირობების გაუმჯობესებასა თუ დასაქმებაში. მან «მომავლის სოფლის» განაშენიანება



რომ დაიწყო, 40-ზე მეტ თანასოფლელს მუდმივი სამუშაო გაუჩინა.

სოფელ გორიდანაა ზურაბ დავითის ძე ფუტკარაძე. მან უკვე მოიპოვა წარმატებული ბიზნესმენის სახელი. მისი თანადგომა არ აკლიათ ოლადაურის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სკოლების პედაგოგებსა და მოსწავლეებს. იმ დროს, როცა ქვეყანასაც და ოჯახებსაც უჭირდათ, სასკოლო სახელმძღვანელოების, სასწავლო ნივთების შესაძენი თანხები არ ჰქონდათ, ზურაბი ეკონომიკურად სუსტი ოჯახების, შშმ პირების შვილებს ეხმარებოდა. იგი რამდენიმე წელია გორის, პაპოშვილების, მახალაკიძეების, ოლადაურის, მაწყვალთის, კარაპეტის საჯარო სკოლების პედაგოგებს, მოსწავლეებს საახალწლო საჩუქრებს უგზავნის. სულ მალე ბათუმში სავაჭრო ცენტრის მშენებლობას დაასრულებს, სადაც ასეულობით ადამიანს, მათ შორის, აჭარის მთიანეთის მკვიდრებს დაასაქმებს.

რამინ დავითაძის ადგილის დედა ისტორიული სოფელი გოგაძეებია. მამის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ, შვილების პატრონობა დედამ ითავა. ცხადი იყო, რომ გოგაძეების დამეწყრილი ტერიტორია მრავალწევრიან ოჯახს სარგებელს ვერ მოუტანდა. საცხოვრისად გარდაბნის რაიონის სოფელი მუხროვანი აირჩიეს. რამინმა ბიზნესი იქ დაიწყო, გამჭრიახი და საღი გონებით, თანასოფლელ მიხეილ დავითაძისა და სხვათა თანადგომით, ხელშესახებ წარმატებებსაც მიაღწია, მეტწილად ის ადამიანები დაასაქმა, რომლებიც აჭარის მთიანეთის სტიქიური პროცესების გამო განერიდნენ და გარდაბნის მუნიციპალიტეტში დასახლდნენ. რამინი თანადგომას არც გოგაძეებში და მშობლიური შუახევის სხვა სოფლებში დარჩენილებს აკლებს. წლებია შემოქმედებით ინტელიგენციას, გაზეთ «შუახევის» რედაქციას ეხმარება.

საზოგადოებამ, თანასოფლელებმა და შუახეველებმა პანდემიის პერიოდში გაიცნეს ჭალაში დაბადებული, იმავე სოფლის სკოლაში აღზრდილი ნუგზარ ჭაღალიძე. იგი მათ თანადგომას ახლაც აგრძელებს. წინასაახალწლოდ რამდენიმე ადამიანს დაეხმარა. ჭალელებს, შუახეველებს მატერიალურად ეხმარებიან და დასაქმებაში ხელს უწყობენ ძმები ხვიჩა და გოჩა შარაშიძეები. ისინი სოფელში დაწყებული ეკლესიის მშენებლობაშიც გაიღებენ თავანთ წილს.

ბრილელები კეთილ, მეზობლებსა და ახლობლებზე მზრუნველ პიროვნებად იცნობენ ლევან ტაკიძეს. ბრილში ქართული სკოლის აღდგენის 90 წლისთავის იუბილეზე მან მშობლიურ სკოლას სამახსოვრო საჩუქარი მიუძღვნა, თანასოფლელებს პანდემიის დროს დაეხმარა.

ბრილელები ამაგს არ უკარგავენ ძმებ გიორგი და ირაკლი ბოლქვაძეებს. ცენტრს რომ თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი «სოფლის სახლი» ამშვენებს, ამაში ლომის წილი უცხოეთში მცხოვრებ ბრილელ მურმან ტაკიძეს აქვს შეტანილი.

მრავალი ღირსეული ადამიანის სამკვიდროა სოფელი ლომანაური. ამის დასტურია სოფლის შემოსასვლელში გაკეთებული «ხსოვნის მემორიალი». წელს იგი ადგილობრივი ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხებით შეაკეთეს. თავის დროზე მემორიალის აგებას ხელი წაახმარა ლომანაურის მკვიდრმა ბიზნესმენმა შოთა მიქელაძემ. იგი სოფლის სკოლის პედაგოგთა და მოსწავლეთა აქტიური თანამდგომია. გარდა ამისა, თანასოფლელებს სასურსათო პროდუქტებს უგზავნის, სოფლის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაში თავის წვლილს იღებს.

რამდენიმე წლის წინ სოფელ ლაკლაკეთის ცენტრში ჯვარი აღიმართა. აქ და მთა ღომაზე აღმართული ლითონის ჯვრების დამზადებაში წილი გაიღო ბიზნესმენმა მამუკა აბუსელიძემ. ის მოფრინეთელი ძმების რონი, ჯონი და რაულ ბერიძეების, ჯაბნიძეებელი რამინ შოთას ძე აბუსელიძის მსგავსად, თანასოფლელებს სასურსათო პროდუქტებით, სამშენებლო მასალებით ეხმარება.

მშობლიური შუახევის, თანასოფლელების თანამდგომნი არიან ბარათაულელი რამაზ მახარაძე, გომარდულელი ჯემალ ქარცივაძე, ნოდარ ბერიძე, ნაღვარეველი ზვიად და ვახტანგ ქათამაძეები, თერნალელი იაგო დავითაძე, შუბნელი ძმები ტარიელ, ფრიდონ, ავთანდილ ჯუმუშაძეები, უცხოეთში მცხოვრები ხაბელაშვილებელი ზაზა ბოლქვაძე, გოგინაურელი ავთანდილ, გოჩა გოგიტიძეები, გორელი უშანგი ფუტკარაძე, ჯუმუშაურელი ტარიელ ქარცივაძე, ცინარეთელი გოჩა ხუჯაძე, კვიახიძეებელი გოჩა ფუტკარაძე, წაბლანელი გურამ ველიაძე, ფურტიოელი ამირან ბერიძე, ნიგაზეულელი ლევან ხიმშიაშვილი. ლევანის თანადგომა რომ არა, მისი თანასოფლელის, მკლავჭიდში მსოფლიო ჩემპიონის გოგიტა ხიმშიაშვილის ასპარეზობაში მონაწილეობა კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. ქართულ ჭიდაობას მზრუნველობას არ აკლებენ მახალაკიძეებელი ძმები ზურაბ, ვლადიმერ, აკაკი მახარაძეები.

სხვისი გულის გამხარებელ და ჭირის გამზიარებელ ბიზნესმენებს დამდეგ ახალ წელს ვულოცავთ. საქმეში წარმატება დაებედოთ და თანადგომის უნარი არ მოჰკლებოდეთ!

# დარბაზის პირველი სტუმარი

***ჟურნალისტი ოთარ ცინარიძე პროფესიულ საქმიანობას საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობას უხამებს. წელს მისი ინიციატივით დაფუძნდა საზოგადოებრივ-რუდუნებითი დარბაზი: „წუთისოფელი ასეა“.***

მისი მიზანია იმ ადამიანების წარმოჩენა, რომლებმაც მთელი შეგნებული ცხოვრება მშობლიურ კუთხეს მოახმარეს და რატომღაც ჩრდილში არიან.

დარბაზმა პირველად „საპატიო შუახეველს“, ვეტერან პედაგოგს, პოეტს, შორეულ სოფელ ნაღვარევში მცხოვრებ იოსებ ქათამაძეს უმასპინძლა.

ოთარ ცინარიძემ ისაუბრა მის შემოქმედებაზე, გამორჩეული მნიშვნელობა მიანიჭა ლექსს „ჭვანის ხეობის მეტამორფოზა,“ რომლის დაწერას ავტორმა ორი წელი მოანდომა.

თანასოფლელს ცნობილი ხელოვანი ხასან ქათამაძე მიესალმა და მისი ლექსები წაიკითხა.

დარბაზის მნიშვნელობასა და სტუმრის ღვაწლზე ისაუბრეს ხიჭაურის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორმა ავთანდილ დიასამიძემ, შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარემ, შუახევის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ფატი ჭაღალიძემ, შუახეველმა მწერალმა დავით ქათამაძემ, ბარათაულის საჯარო სკოლის დირექტორმა დავით ქათამაძემ, ფოლკლორულ ანსამბლ „შუახევის“ სოლისტმა ოთარ დავითაძემ. შესრულდა ცეკვები.

იოსებ ქათამაძემ დარბაზის დამფუძნებელსა და დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადაუხადა და დარბაზის საქმიანობაში ჩართვისთვის მზაობა გამოთქვა.

**ომარ ტაკიძე**: - იოსებ ქათამაძე ჩემი თანასოფლელია. იგი შესანიშნავი პედაგოგი იყო. ახლა პენსიაზეა. მას დღეს საზოგადოება მოეფერა და ღირსიც არის. მივესალმები დარბაზის დაფუძნებას. იმედია, მომავალშიც მრავალ ღირსეულ ადამიანს ვუმასპინძლებთ.

**ფატი ჭაღალიძე**: - დარბაზის დამფუძნებელმა ოთარ ცინარიძემ განაცხადა, რომ მალე სტუმრად ქალბატონს მოიწვევენ, რაც მისასალმებელია. შუახევში მრავალი სახელოვანი და წარმატებული ქალია და ისინი პატივისცემას ნამდვილად იმსახურებენ. კარგი წამოწყებაა და მას ყველამ მხარი უნდა ავუბათ.



# წლის შედეგები შეაჯამეს

***ქედის მუნიციპალიტეტის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამის“ განმახორციელებელი სერვისის „ქალთა ოთახის“ წელს გაწეული საქმიანობა შეჯამდა.***

შემაჯამებელ ღონისძიებაზე მოწვეულ პროექტში მონაწილე ქალებს, „ქალთა ოთახების“ გაერთიანების აღმასრულებელმა დირექტორმა ფატიმა ბოლქვაძემ სერტიფიკატები გადასცა სოფლად მცხოვრები ქალების გააქტიურების ხელშეწყობის მიზნით განხორციელებულ პროექტში „ქალთა არაფორმალური სადისკუსიო სივრცეების შექმნა სასოფლო დასახლებებში“ მონაწილეობისათვის.



წელს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის და „ქალთა ოთახის“ პროგრამების ფარგლებში ამოქმედდა ორი ახალი - „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის მხარდამჭერი მუნიციპალური“ და „ადგილობრივ დონეზე ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობის“ პროგრამა, რომლის ფარგლებში 9 ქალი დაფინანსდა.

ქედის მუნიციპალიტეტის „ქალთა ოთახი“ შემდეგი მიმართულებებით მუშაობს: დასაქმების ხელშეწყობა, ეკონომიკური გაძლიერება და ქალთა ჩართულობის გაზრდა ადგილობრივ დონეზე. ამ მიმართულებებით 5 ქალია დასაქმებული.

ქალებისთვის მოპოვებულია 34 200 ლარის გრანტი. 10 საინფორმაციო კონსულტანტი (მოხალისე) სხვადასხვა ადმინისტრაციული ერთეულიდან შეარჩიეს.

# ღვაწლმოსილ პედაგოგს მიულოცეს

***აჭარის სკოლის დამსახურებულმა მასწავლებელმა თამაზ ფუტკარაძემ ნახევარი საუკუნე პედაგოგიურ და საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობას შეალია, იგი დამსახურებული პედაგოგის სტატუსით გავიდა ჯილდოზე***

ეწვივნენ, დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცეს, 85 წლის ღვაწლმოსილ პედაგოგს ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური საქმიანობისათვის მადლობის სიგელი, სამახსოვრო საჩუქარი გადასცეს და ჯანმრთელობა და დღეგრ-



თაობების აღმზრდელმა, შვილებიც სანიმუშო გაზარდა. პენსიაზე გასული, მეუღლე დინა თავდგირიძესთან ერთად, შთამომავლობას ეფერება. შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, მისი პირველი მოადგილე გიორგი დავითაძე და საკრებულოს წევრი ემზარ აბაშიძე თამაზ ფუტკარაძეს ოჯახში ძელობა უსურვეს.

- კარგია, როცა საზოგადოებას ახსოვხარ. ამაღლებული და გახარებული ვარ, ცხოვრების ხალისი მომემატა, - გვითხრა ბატონმა თამაზმა.

**გვერდი მოამზადა**
**ოთარ ცინარიძემ**

# ერთი დღე – კოლეჯში „ბლექსი“

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან პროფესიაზე საუბარი სათანადო ხერხებსა და მეთოდებს მოითხოვს... ხშირად ვესაუბრები ჩემს აღსაზრდელებს მათ მომავალზე, რომ მიუხედავად ყველაფრისა, უნდა იპოვონ საკუთარი თავი, სკოლის დამთავრების შემდეგ უნდა მიიღონ სათანადო განათლება. სწორედ ამიტომ, არაფორმალური განათლების კუთხით შევარჩიე თემა - „ჩვენ ვირჩევთ პროფესიას!“ და ჩემი მოსწავლეები ქალაქის სხვადასხვა დაწესებულებაში მივიყვანე.

პროფესია განსაზღვრავს მომავალს. როცა მოზარდს პრაქტიკულად აჩვენებ, უშუალოდ აცნობ ამა თუ იმ პროფესიას, იგი ფიქრობს თავის შესაძლებლობებზე, გონებაში აანალიზებს და შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას. სწორედ ეს იყო მიზანი ჩემს აღსაზრდელებთან ერთად მრავალდარგობრივ კოლეჯში „ბლექსი“ სტუმრობისა, სადაც გულთბილად მიგვიღეს და მადლობა მათ ამისთვის.



კოლეჯში მოსწავლეები დაინტერესდნენ ისეთი პროფესიებით, როგორიცაა ტანსაცმლის მოდელირება და კერვა, სასტუმროს მომსახურების სერვისი, კერძების მომზადების ტექნოლოგია, კომპიუტერული ტექნოლოგიების პროგრამირება და სხვა.



დიდხანს ვაკვირდებოდი მათ გაოცებულ სახეებს... ავუხსენი, რამდენად მნიშვნელოვანია მათი მომავლისთვის პროფესიის სწორად არჩევა. დავურიგე კითხვარი - „ვინ და რა მინდა გამოვიდე?“, პასუხებისგან შევაგროვე მათი პიროვნული მახასიათებლები... დავბრუნდი იმედით, რომ საბაზო საფეხურის დამთავრების შემდეგ დაფიქრდებიან ხვალინდელ დღეზე, იმაზე, თუ რა გზას აირჩევენ. პროფესიული თვითგამორკვევა ხომ პირველი ეტაპია მოზარდების ცხოვრებაში... შემდეგ მქონდა მშობლებთან შეხვედრა. ბუნებრივია, ისინი კარგად იცნობენ შვილების შესაძლებლობებს და დაეხმარებიან პროფესიის განსაზღვრაში, მხარს დაუჭერენ მათ სწორ არჩევანს.

იმედი მაქვს, მოსწავლეები ამ აქტივობით სერიოზულად დავაფიქრე თავიანთ მომავალზე. მჯერა, არ დავაგვიანე.

ვფიქრობ, ასეთი გასვლითი ღონისძიებები დაეხმარება თითოეულ მოზარდს პროფესიის არჩევაში, ეს კი იმის წინაპირობა იქნება, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ შეძლებენ დამოუკიდებლად ცხოვრებას.

**ციცინო ხაჯიშვილი,**
**სსიპ „ქალაქ ბათუმის №4 საჯარო სკოლის“ სპეციალური მასწავლებელი**

Ⓡ

# ირინა ბურკაძე – პროფესიონალი და საუკეთესო ადამიანი

**ნაირა ფუტკარაძე 27 48 93**

არიან ადამიანები, რომლებიც გარეგნულ მომხიბვლელობასთან ერთად სიკეთესა და სითბოს ასხივებენ. ასეთია ჟურნალისტი ირინა ბურკაძე, რომელსაც დეკემბერში დაბადებიდან 70, ხოლო გაზეთ „აჭარასა“ და „ადჟარიაში“ მუშაობის 50 წელი შეუსრულდა. ძნელია იპოვო იმ ხარისხის პროფესიონალი, როგორიც ჩვენი ირინაა, რასაც ერთვის მისი საუკეთესო ადამიანური თვისებები, რომელთა შორის მთავარია სხვისი ლხინის გაზიარების უნარი. რაოდენ სასიხარულოა, რომ ასეთი პიროვნების კოლეგა ხარ.



- 1973 წლიდან ვმუშაობ გაზეთ „ადჟარიაში“, რომელსაც ადრე „სოვეტსკაია ადჟარია“ ერქვა. მუშაობის პერიოდში დავამთავრე მოსკოვის პოლიგრაფიული ინსტიტუტის სარედაქციო ფაკულტეტი მასობრივი გამოცემების რედაქტორის სპეციალობით. გაზეთ „აჭარაში“ მუშაობის დროს გავიარე ყველა საფეხური კორექტორიდან განყოფილების გამგემდე. ვიმუშავე რედაქტორის მოადგილედაც. 19 წლის ვიყავი, როდესაც რედაქციაში მოვედი, როცა გაზეთის რედაქტორი ძალიან კარგი პიროვნება ვლადიმერ მარღანიძე გახლდათ. მას შემდეგ მიყვარს ეს საქმე, რომლის კეთებითაც არ ვიღლები და მიხარია, რომ ჩვენს გაზეთში მოვიდნენ ახალგაზრდა კოლეგები და პრაქტიკულად ეუფლებიან ამ რთულსა და ძალიან მნიშვნელოვან პროფესიას. მინდა კიდევ ბევრი რესპონდენტი, საინტერესო სტატიები და მრავალფეროვანი მოღვაწეობა ვუსურვო ჩვენს ჟურნალისტებს. დაე, გაზეთების „აჭარასა“ და „ადჟარიას“ სახელები იყოს მარადიული, რადგან მათ ფურცლებზე შეიქმნა საუკუნის ისტორია, რომელიც ჩვენს რეგიონში იტევს ყველას და ყველაფერს. აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და დამდეგ შობა-ახალ წელს ვულოცავ ჩვენს კოლეგებს, - გვითხრა ირინამ.

რედაქცია ულოცავს მას ამ მნიშვნელოვან თარიღებს და უსურვებს, ჩვეული ახალგაზრდული შემართებითა და პროფესიონალიზმით დიდხანს ემსახუროს მშობლიურ გაზეთსა და ქვეყანას.

## უკრაინა

რუსმა ოკუპანტებმა ხერსონის საავადმყოფოს სამშობიარო განყოფილება დაბომბეს. ამის შესახებ უკრაინული მედია წერს და აღნიშნავს, რომ შედეგად არავინ დაშავებულა. პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელის მოადგილე, კირილო ტიმოშენკო წერს, რომ საავადმყოფოში 5 პაციენტი იმყოფება. „ხერსონი. რუსებმა ცეცხლი გაუხსნეს სამშობიარო განყოფილებას, დაბომბეს ადგილი, სადაც ორი ბავშვი დაიბადა. შეტევამდე ექიმებმა საკეისრო კვეთის გაკეთება მოახერხეს. მშობიარობის შემდეგ დაწესებულებაში ხუთი ქალი იმყოფება“, - წერს ტიმოშენკო.

* * *

უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადებით, უკრაინელების სიმართლე არის ბრძოლა თავისუფლებისთვის. „ამ ბრძოლაში გვაქვს ერთი ძლიერი და ეფექტური იარაღი - სულისა და ცნობიერების ფარი და ხმალი, გამბედაობა და მამაცობა. სათნოება, რომლებიც გვიბიძგებს კეთილი საქმეებისკენ და ბოროტების დასამარცხებლად. გამბედაობის მთავარი აქტი გამძლეობა და, ყველაფრის მიუხედავად, საქმის ბოლომდე მიყვანაა. ჭეშმარიტება გვინათებს გზას. ჩვენ ეს ვიცით. ჩვენი სიმართლე არის ბრძოლა თავისუფლებისთვის. თავისუფლებას მაღალი ფასი აქვს, მაგრამ მონობა კიდევ უფრო ძვირი ღირს“, - წერს ზელენსკი „ტელეგრამზე“.

* * *

უკრაინის ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის საბჭოს მდივანმა ოლექსი დანილოვმა მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფ უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას მოუწოდა, აღიაროს საკუთარი აფილირება მოსკოვის საპატრიარქოსთან. „24 თებერვლის შემდეგ ჩვენი საზოგადოება მოითხოვს სამართლიანობას. თუ თქვენ ცდილობთ, დამალოთ თქვენი აფილირება მოსკოვის საპატრიარქოსთან, კავშირები ხალხთან, რომელიც ლოცულობს რუსეთში, რათა რუსმა სამხედროებმა მოგვკლან, უფრო მეტიც, აკურთხებენ მათ მკვლელობისთვის, როგორ შეგიძლიათ უკრაინელებს თვალებში ჩახედოთ?! თუ თქვენ არ ხართ აფილირებული რუსეთის ფედერაციასთან, ოფიციალურად უნდა განაცხადოთ ეს და თქვათ, რომ პუტინი სატანაა. სატანაა ასევე რუსეთის პატრიარქი კირილიც. დაარქვით ყველაფერს შესაფერისი სახელი და შემდეგ ეს სამართლიანი იქნება“, - განაცხადა დანილოვმა.

* * *

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრ დმიტრო კულებას განმარტებით, აშშ-ის მთავრობამ შეიმუშავა სპეციალური გეგმა, რათა Patriot-ის ბატარეა, რომლის მომზადებას, როგორც წესი, ერთ წლამდე სჭირდება, ექვს თვეზე ნაკლებ დროში მოემზადოს უკრაინაში ექსპლუატაციისთვის. კულებამ ასევე განაცხადა, რომ ის „აბსოლუტურად კმაყოფილია“ პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის შედეგებით. შეგახსენებთ, რომ 21 დეკემბერს, ვოლოდიმირ ზელენსკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის ფონზე, აშშ-ის ხელისუფლებამ ოფიციალურად გამოაცხადა უკრაინისთვის სამხედრო დახმარების ახალი - 1,85 მილიარდი დოლარის ღირებულების პაკეტის შესახებ, რომელიც უკრაინისთვის Patriot-ის საჰაერო თავდაცვის სისტემის გადაცემას ითვალისწინებს.

**მოამზადა**
**ნაირა ფუტკარაძემ**

# 2022 წლის პოლიტიკური მოზაიკა

მე-3 გვერდიდან

ომის დაწყებაზე, ვინ-ვინ და... ბელარუსმა კარგად იცის, რეალურად რა ხდება ფრონტის ხაზზე - საზარბაზნე ხორცად ყოფნა არავის სურს.

ისტორიულ მოვლენად შეფასდა ჰააგის ამასწინანდელი გადაწყვეტილება 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით, რომლითაც საქართველო გამართლდა, ანუ დადგინდა, რომ ქართველ სამხედროებს არანაირი დანაშაული არ ჩაუდენიათ, ხოლო რუს სამხედროებსა და სეპარატისტებს დაუმტკიცდათ სხვადასხვა დანაშაული, რაც ჩვენმა ქვეყანამ უნდა გამოიყენოს და რუსეთს ვალდებულებების შესრულება მოსთხოვოს ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციის თვალსაზრისით.

ჯერჯერობით ქვეყანაში, როგორც ვთქვით, სტაბილურობა შენარჩუნებულია, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ პრობლემები არ არის. ქვეყნის წინაშე მრავალი გამოწვევაა. პოლიტიკური გამოწვევებიდან აუცილებელია ქვეყნის დემოკრატიზაციის ხარისხის კიდევ უფრო ამაღლება-გაძლიერება. მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდის დაჩქარება. საერთაშორისო გამოწვევებიდან საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესია მცოცავი ოკუპაციის აღმოფხვრა, ძალიან მნიშვნელოვანია, გავხდებით თუ არა ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა. ამ მიმართებით უპირველესად, ხელისუფლებისგან, ასევე სრულიად პოლიტიკური სპექტრისგან უნდა ველოდოთ კონკრეტულ, შედეგზე ორიენტირებულ ნაბიჯებს, ნაცვლად ურთიერთბრალდებებისა. მთავარია, მომდევნო წელი როგორი იქნება საქართველოსთვის, ანუ დასრულდება თუ არა პოლარიზაცია, რა ვერდიქტს გამოიტანს ევროკავშირი საქართველოსთან მიმართებით ევროინტეგრაციის თვალსაზრისით და გაუმჯობესდება თუ არა ეკონომიკური მდგომარეობა. დასავლეთის დასკვნებზეა დამოკიდებული, მის ბანაკში ვიქნებით თუ გარიყული აღმოვჩნდებით. არჩევანი თავად უნდა გავაკეთოთ და ის, იმედია, დასავლეთზე გაკეთდება.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **მთავარი რედაქტორი** **მარინა მითაიშვილი** | **გამომშვები რედაქტორი ირმა შერვაშიძე** **ლიტერატურული რედაქტორი ეთერ ხომერიკი** | რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე. Ⓡ ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. | **გამომცემელი** - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია» **პოლიგრაფიული მომსახურება** - შპს «კოლორ პრესი» მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3 | **მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა ტელ: 27-13-31 აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში** დასაბეჭდად ხელმოწერილია 28/12/22, 22 10 სთ. | **დირექტორი** **მამუკა ბერიძე** |

# ბათუმის სპორტსკოლის რჩეულები

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

*მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლეში 2022 წლის შედეგები შეაჯამეს და საუკეთესო სპორტსმენები, მწვრთნელები, ვეტერანი სპორტსმენები, წლის საუკეთესო კლუბები და სპორტული ჟურნალისტები დააჯილდოვეს*

წარმატებულ და საუკეთესოებს შორის დასახელდნენ სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლები, რომლებმაც 2022 წელს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე, ასევე სხვადასხვა რანგის საერთაშორისო ტურნირზე თუ რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე ბათუმს არაერთი სხვადასხვა სინჯის მედალი მოუტანეს. მათ შორის არიან მოჭიდავეები, კარატისტები, მოფარიკავეები, სპორტული მოცეკვავეები, ტანმოვარჯიშეები, მძლეოსნები, აკრობატები. მათ სიგელები, საახალწლო ნუგბარი და სპორტული მაღაზიის ვაუჩერი გადასცეს. დაჯილდოებას ესწრებოდნენ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილე ჯემალ სურმანიძე, მინისტრის მოადგილე ბადრი ნაკაშიძე, სპორტსმენები, მწვრთნელები, მშობლები...

სპორტსკოლის აღსაზრდელებმა წელს 337 სხვადასხვა სინჯის მედალი, აქედან 127 - ოქროს, 98 - ვერცხლის, 112 - ბრინჯაოსი მოიპოვეს.

საუკეთესო სპორტსმენებად დასახელდნენ დავით მსხალაძე, დავით ძნელაძე, ანრი მსხალაძე, მინდია მგელაძე (ყველა - კონტაქტური კარატე), გელა ბოლქვაძე, აჩიკო ბოლქვაძე, ნიკოლოზ ბროლაძე, თორნიკე მიქელაძე, დიეგო ჩხიკვაძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), ზურაბ კინწურაშვილი, ნიკა ღოღობერიძე (ორივე - ტაეკვონდო), რამაზ თურმანიძე (თავისუფალი ჭიდაობა).

სპორტის სხვადასხვა სახეობაში საუკეთესო მწვრთნელები წელს გახდნენ: ლევან ცინცაძე, მინდია შაინიძე, თემურ ღლონტი, ზაზა ჭანტურია, ოთარ ცანავა, მარად აბულაძე, უჩა შავაძე, თემურ გორგოშაძე, კახაბერ ხომერიკი, გიორგი სარხაიანი, ნინო ქავზინაძე.

საუკეთესოდ აღიარეს ფრენბურთელ გოგონათა (მწვრთნელი - ხათუნა გიორგაძე) და ჭაბუკ კალათბურთელთა (მწვრთნელი - ლაშა ოჩხიკიძე) გუნდები.

დაჯილდოების ცერემონია მიჰყავდა აჭარის სპორტის მემატიანეს, სპორტსკოლის დირექტორის მოადგილე ლევან ჯიოშვილს, ვინც არაერთი მნიშვნელოვანი სპორტული ფაქტი ზეპირად იცის. აღინიშნა, რომ სპორტსმენთა დაჯილდოებას საფუძველი ჯერ კიდევ მაშინ ჩაეყარა, როცა ბათუმში სპორტული სკოლა შეიქმნა. პირველად დასახელდა 5 საუკეთესო სპორტსმენი, 50-იან წლებში - ათი მოწინავე, 60-ანი წლების მეორე ნახევრიდან კი უკვე ათი საუკეთესო სპორტსმენი და მწვრთნელი სახელდებოდა. რადგანაც სპორტული სკოლა მოზარდების უმაღლეს დაოსტატებასა და მასობრივი სპორტის განვითარებას ემსახურება, დასაჯილდოებელთა რაოდენობას ყოველწლიურად მაქსიმალურად ზრდიან.

- 2022 წელი ჩემთვის გამორჩეული და წარმატებული იყო. გავიმარჯვე სხვადასხვა სარეიტინგო ტურნირში, მსოფლიო ჩემპიონატზე მეხუთე ადგილი მოვიპოვე. შედეგებიდან გამომდინარე, ევროპის ოლიმპიადის ლიცენზია მოვიპოვე, რაც ჩემთვის დიდი სიხარულია. ყველაფერს გავაკეთებ, რომ 2023 წელს საქართველოს დროშა არაერთ შეჯიბრებაზე ავაფრიალო, - თქვა ზურაბ კინწურაშვილმა.

აღსანიშნავია, რომ ბათუმის სპორტის სასახლეში, საქართველოში პირველად, ამოქმედდა სამედიცინო ცენტრი. როგორც ბადრი ნაკაშიძემ გვითხრა, ეს არის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ლაბორატორია.

- ეს ჩვენი სასახლისა და სამინიტროს ერთობლივი იდეა იყო, რადგან გვინდა, სპორტის სასახლე ყოველმხრივ იყოს გამართული. ამ ცენტრის მიზანია დაადგინოს დამწყები სპორტსმენის ჯანმრთელობის მდგომარეობა და გასცეს რეკომენდაცია, რომელ სახეობაში იქნება მიზანშეწონილი ამა თუ იმ ბავშვის ვარჯიში, რა მიმართულებით გააუმჯობესოს მწვრთნელმა მასთან მუშაობა, რა არ არის რეკომენდებული მისთვის, ანუ გამაჯანსაღებელი ცენტრი იძლევა ნებართვას სპორტში ვარჯიშისთვის, ვინაიდან ყველა მოზარდის სპორტით დაკავება მიზანშეწონილი არ არის. ცენტრში მუშაობს ორი ექიმი და სპეციალისტი-ლაბორანტები, გამოკვლევისთვის აქ სპეციალური დანადგარებიცაა, - გვითხრა ბადრი ნაკაშიძემ.

- დღეს შევაჯამეთ გასული წელი, რომელიც ძალიან წარმატებული და ნაყოფიერი იყო. ამას მოწმობს მოპოვებული მედლების რაოდენობა. წარმატებულ სპორტსმენებთან, მწვრთნელებთან, გუნდებთან ერთად, ვეტერანი სპორტსმენებიც დავაჯილდოვეთ, რომლებსაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით სპორტის განვითარებაში, ასევე, სპორტული ჟურნალისტები, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ აჭარაში სპორტის პოპულარიზაციის საქმეში. მინდა მადლობა გადავუხადო აჭარის მთავრობას, პირადად თორნიკე რიჟვაძეს, რომელიც მუდამ გვერდით უდგას სპორტს, - თქვა მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლის დირექტორმა ირმა ნიჟარაძემ.

აღსანიშნავია, რომ სპორტის სასახლემ წელს პირველად დააჯილდოვა წლის საუკეთესო კოორდინატორი, რომელიც რუსუდან ჯორბენაძე გახდა.

დაჯილდოების შემდეგ „სახალისო ლატარიით“ საყოფაცხოვრებო ტექნიკა გათამაშდა.




# სპორტის სფეროში საუკეთესოები დაასახელეს

პირველი გვერდიდან

- მსგავსი შეხვედრები წლის ბოლოს მნიშვნელოვანია მიღწევების, წარმატებების შესაჯამებლად. დღევანდელ შეხვედრაზე კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი მხარდაჭერას, იმ სიახლეებს, რომელსაც მთავრობა სთავაზობს განვითარებისთვის. გვახარებს, რომ წლიდან წლამდე მატულობს როგორც მიღწევების რაოდენობა, ასევე, მედლების ხარისხიც. ვიმედოვნებთ, მომავალი წელი, რომელიც დატვირთულია დაგეგმილი სპორტული ღონისძიებებით, ჩვენი სპორტსმენებისთვის, ქვეყნისთვის ბევრი ახალი წარმატების მომტანი იქნება. ვუსურვებ ყველა სპორტსმენს ჯანმრთელობას, მათ ოჯახებს მშვიდობას, სრულიად საქართველოს კი ჩვენი ჰიმნის და დროშის არაერთხელ ამღერებას და აღმართვას საერთაშორისო ასპარეზზე, - გვითხრა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა.

საღამოზე საზეიმოდ დააჯილდოვეს წლის ათი საუკეთესო სპორტსმენი, ათი მწვრთნელი, 27 წარმატებული, სამი პარასპორტსმენი, სამი ვეტერანი სპორტის მოღვაწე და ექვსი საუკეთესო სპორტული ჟურნალისტი. მათ გადაეცათ სპეციალური დიპლომები და სპორტული მაღაზიების ფასიანი ვაუჩერები.

წელს საუკეთესო სპორტსმენებად დასახელდნენ: ელენე ქებაძე (სამბო), ნინო ბაციაშვილი, სალომე მელია (ორივე - ჭადრაკი), გელა ბოლქვაძე, შმაგი ბოლქვაძე, მამუკა კორძაია, ლერი აბულაძე (ჭიდაობა), მინდია მგელაძე (კარატე), დავით მსხალაძე (კონტაქტური კარატე), თემურ სამხარაძე (ძალისმიერი სამჭიდი). საუკეთესო მწვრთნელებად აღიარეს გოჩა აბაშიძე, ავთანდილ აბულაძე, მარად აბულაძე, ნანი კირკიტაძე, ჯემალ კილაძე, ლეონიდ ნეუროնოვი, მინდია შაინიძე, უჩა შავაძე, ლევან ცინცაძე, ზაზა ჭანტურია.

გაზეთ „აჭარის“ წარმომადგენელი მანანა ძიძიშვილი, სხვებთან ერთად, წლის საუკეთესო სპორტულ ჟურნალისტად დასახელდა. მასვე, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ლერი ხაბელოვის სახელით, აჭარის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჯონი ცივაძემ ქართულ სპორტსა და ოლიმპიურ მოძრაობაში შეტანილი წვლილისთვის სეოკის საიუბილეო მედალი გადასცა.







# ერთი – ქართველი, ორი – ლეგიონერი

ეროვნული ლიგის ვიცე-ჩემპიონი ბათუმის „დინამო“ 3 ფეხბურთელით გაძლიერდა. ჩვენს გუნდში ჩარიცხული ქართველი ფეხბურთელი თბილისის „დინამოს“ აკადემიის აღზრდილი და საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების კაპიტანი, 18 წლის ნახევარმცველი მუხრან ბაგრატიონია. მასთან ოფიციალური შრომითი ხელშეკრულება 2-წლიან ურთიერთთანმშრომლობას და კონტრაქტის გახანგრძლივების შესაძლებლობას ითვალისწინებს.

ასევე ბათუმელთა რიგებს შეემატა 27 წლის ბელორუსი გოლკიპერი ანტონ ჩიჩკანი. მან 1-წლიან კონტრაქტს (გახანგრძლივების პერსპექტივით) მოაწერა ხელი. ის გასულ სეზონში თბილისის „დინამოში“ ირიცხებოდა, თუმცა ეროვნული ლიგის არცერთ შეხვედრაში არ უასპარეზია. მას კარიერის განმავლობაში რუსული „უფას“, ბელორუსული „ბატეს“ და „სმოლევიჩის“ ღირსება დაუცავს.

„დინამოში“ მოსული კიდევ ერთი ლეგიონერი 28 წლის სერბი მარცხენა მცველი სტეფან ჰაიდინი გახლავთ. მანაც ჩიჩკანის მსგავსი კონტრაქტი გააფორმა.

ჰაიდინი მთელი კარიერის განმავლობაში სამშობლოში თამაშობდა და ბოლოს „ვოზდოვაცში“ ირიცხებოდა. უასპარეზია ასევე „ცრვენა ზვეზდაში“, სერბულ „სპარტაკში“, „პაზოვაში“, „ბასკსა“ და „ზემუნში“.

აქვე გეტყვით, რომ „დინამოს“ რიგები უკრაინელმა მცველმა ოლექსანდრ აზაცკიმ დატოვა. 28 წლის ფეხბურთელმა ბათუმელთა მაისურით 65 ოფიციალური მატჩი ჩაატარა, ეროვნული ლიგის ჩემპიონობა და სუპერთასის მოგებაც იზეიმა.

**ამირან ბურიელიძე**

# ოქროს კუბო... პელესთვის (?!)



ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდის ჯანმრთელობის მდგომარეობა, სამწუხაროდ, დღითი დღე მძიმდება - პელეს ნაწლავის სიმსივნე აქვს, რომელიც მკურნალობას აღარ ექვემდებარება.

სოციალურ ქსელში გავრცელდა ინფორმაცია, რომ პელეს ჯანმრთელობის მდგომარეობა იმდენად მძიმეა, რომ მას უკვე თავისი ოჯახის წევრები ემშვიდობებიან, ორი დღის წინ კი ბრაზილიურმა მედიამ გამოაქვეყნა პელესთვის დამზადებული... ოქროს კუბოს სურათი. ამ ამბავს ისეთი ძლიერი აღშფოთება და კრიტიკა მოჰყვა, რომ აღნიშნული სურათი სოციალური ქსელიდან გაქრა, მაგრამ Telecomisia-მ გაავრცელა ინფორმაცია, რომ კუბო გარედან მთლიანად ოქროთია დაფარული და ვერცხლის სახელურები აქვს.

ამავე წყაროს ცნობით, „სანტოსის“ სტადიონი სამოქალაქო პანაშვიდისთვის ემზადება (მოგეხსენებათ, ფეხბურთის ლეგენდამ კარიერის უდიდესი ნაწილი სწორედ „სანტოსში“ გაატარა).

ყოველივე ამის მიუხედავად, გულშემატკივრებს მაინც იმედი აქვთ, რომ მათი კერპის ჯანმრთელობა შედარებით გაუმჯობესდება.

**ამირან ბურიელიძე**